ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Alkhali Taoba

ოთხშაბათი, 17 მაისი, 2017 №115 (7350) ფასი: 50 თეთრი

დავით დარჩიაშვილი: „შემოთავაზებული საარჩევნო სისტემა უტიფრობის სახეს ატარებს“

გვ.3

11 მაისიდან
სულხან-საბას
იგავები
ფასი
გაზეთთან
ერთად
14 ლარი

„გიგა ბოკერია მითითებებს ივანიშვილისგან იღებს“

„ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა ერთ მონსტრად ჩამოყალიბდა“

გვ.4

გვ.3

მარიამ ქელბაქიანი: ქუთაისის პარლამენტის შენახვა ბევრად უფრო იაფია“

„ვოლსკის სიზარმაცის გამო ბიუჯეტი მილიონებს არ უნდა ხარჯავდეს“

გვ.5

დიმიტრი ლორთქიფანიძე: „უცხოელებისთვის საქართველოს მოქალაქეობის მიღება უნდა გართულდეს“

სუს-ის უფროსი ირანის ისლამური რესპუბლიკის ელჩს შეხვდა

გვ.2

რუსთავი 2-ის, მაესტროსა და იმედის ჩვენება ფასიანი ხდება

გვ.6

რომელია ქვეყნის ყველაზე გაჭირვებული რეგიონი?

გვ.6

ტყიბულისა და ჭიათურის მაღაროების შემოწმება ორი სამინისტროს ერთობლივი მონიტორინგის ჯგუფმა დაიწყო

„ოთარ ფარცხალაძე ქვეყნის დატოვებას აპირებს“

გიორგი ვაშაძე: „ნარმანიას ყოფილი მთავარი პროკურორი მფარველობს“

ნონა ცაბაძე

ფარცხალაძე-თორდიას დაპირისპირების ფაქტი აქტუალურობას არ კარგავს. საპარლამენტო ოპოზიცია დაჟინებით მოითხოვს საგამოძიებო კომისიის შექმნას, იადგან მათ პროკურატურის ობიექტურობის იმედი არ აქვთ, ხოლო უმრავლესობა კომისიის შექმნის აუცილებლობას ვერ ხედავს.

ამ ფონზე იუსტიციის ყოფილი მინისტრი გიორგი ვაშაძე აცხადებს, რომ ოთარ ფარცხალაძე ქვეყნის დატოვებას აპირებს და დეტალურად შემუშავდა ქვეყნიდან გასვლის გეგმა. როგორც ვაშაძე აცხადებს, ეს ინფორმაცია მან სანდო წყაროდან მიიღო.

„ახალი თაობის“ კითხვებს გიორგი ვაშაძე პასუხობს.

– ბატონო გიორგი, რას იტყვით ამ სკანდალურ საქმესთან დაკავშირებით? რატომ უნდა დასხმოდა თავს ფარცხალაძე თორდიას? რასთან გვაქვს საქმე, როცა ყოფილი მთავარი პროკურორი მთავარ აუდიტს ესხმის თავს? რა არის ეს, პირადი ანგარიშსწორება?

– საკითხი შეეხება ძალიან კონკრეტულ თემას. ფარცხალაძეს ჰქონდა შექმნილი სისტემა, როცა ის იყო აბსოლუტური ბატონ-პატრონი სამართალდამცავი ორგანოების, პროკურატურა და ფინანსური პოლიცია განსაკუთრებით. შესაბამისად, საფრთხე შეექმნა, როგორც ჩანს, მის ფარულ იმიჯს, რომელიც მას ჰქონდა შექმნილი.

– საფრთხე რატომ შეექმნა?

– თორდიას მიერ დაწყებული გამოძიებიდან გამომდინარე, რომელიც ეხებოდა ფარცხალაძისთვის მიწის უკანონო გადაცემას. როგორც ჩანს, სწორედ ამან გამოიწვია ფარცხალაძის გაბრაზება ანუ როგორ გაუბედა მას თორდიამ, რომ მის საქმესთან დაკავშირებით მოკვლევა დაიწყო და აპირებდა ამ მასალების პროკურატურაში გადაგზავნას.

– ფიქრობთ, რომ ამან გააღიზიანა ფარცხალაძე?

– აი, ეს ვერ აიტანა ფარცხალაძემ. როგორც ჩანს, მან ჩათვალა, რომ ეს იყო მისი რეპუტაციის შემლახავი ქმედება და სწორედ აქედან გამომდინარე მოხდა ეს ინციდენტი, უნდოდა, რომ ამ შემთხვევაში თორდიას დაშინება მომხდარიყო. მე არ გამოვრიცხავ, რომ მათი ეს გადაკვეთა იყო აბსოლუტურად შემთხვევითი, მაგრამ ეს აგრესია გამოწვეული იყო ამით და, შესაბამისად, მისი მხრიდან იყო თავდასხმა თორდიაზე! რატომ? იმიტომ, რომ დაეშინებინა, რათა თორდიას აღარ გაეგრძელებინა ამ საქმის შესწავლა.

– როდესაც მიწის ნაკვეთის გადაცემაზე საუბრობთ, თქვენ ფიქრობთ, რომ მერიასთან მოხდა უკანონო კორუფციული გარიგება?

– ეს ცალსახაა! სხვათა შორის, ჩვენი გუნდის მიერ გამოკვლეულია ეს საკითხი. არა მარტო ეს, ბევრი სხვა პრობლემური თემა გამოვიტანეთ სააშკარაოზე. მერიის მონიტორინგს ძალიან აქტიურად ეწევა ჩვენი გუნდი და ერთ-ერთი კვლევის დროს ამოვარდა სწორედ ეს საკითხი, რასაც ჰქვია მიწის ნაკვეთის უკანონოდ გადაცემის ფაქტი. ეს მიწის ნაკვეთი გადაეცა ფარცხალაძეს.

– თქვენ ავრცელებთ ინფორმაციას, რომ ფარცხალაძე ქვეყნის დატოვებას გეგმავს. ვინ მოგაწოდათ ეს ინფორმაცია?

– წყაროს ვერ დაგისახელებთ, მაგრამ, ჩემი ინფორმაციით, ფარცხალაძისთვის პრობლემა მდგომარეობს შემდეგში, რომ ის არაფორმალური სისტემა, რომელიც აწყობილი ჰქონდა, ვისი მფარველობითაც ჰქონდა, ამ შემთხვევაში ქვეყნის მთავარ არაფორმალურ მმართველს ვგულისხმობ.

– ივანიშვილს?

– დიახ. როგორც ჩანს, ივანიშვილი და მისი საახლობლო წრე განაწყენებულია იმ ქმედებით, რომელიც ფარცხალაძემ ჩაიდინა. მას აქვს გეგმა, რომ როგორმე შეატრიალოს ეს თემა, ე.წ. მედიათვალსაზრისით, პიარულად, რომ თორდიას წინააღმდეგ წავიდეს ეს ყველაფერი, ხოლო თუ ეს ვერ გამოვიდა, რაც შეიძლება სწრაფად დატოვოს ქვეყანა, რათა თავი აარიდოს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას. სწორედ აქედან გამომდინარე, ჩვენ მოვითხოვეთ ორი რამ, პირველი – პროკურატურა აღკვეთის ღონისძიების მოთხოვნით შევიდეს სასამართლოში და დაუყოვნებლივ შეეზღუდოს ფარცხალაძეს ქვეყნიდან გასვლა და მეორე მნიშვნელოვანი საკითხი – პარლამენტმა აუცილებლად უნდა შექმნას დამოუკიდებელი საგამოძიებო კომისია.

– საგამოძიებო კომისიის შექმნას აქტიურად მოითხოვს საპარლამენტო ოპოზიციაც, თუმცა ამას ეწინააღმდეგება უმრავლესობა. ოცნების დეპუტატები ამის აუცილებლობას ვერ ხედავენ.

– საგამოძიებო კომისია აუცილებლად უნდა შეიქმნას! აუდიტის სამსახური – ეს არის აღმასრულებელი ხელისუფლების დანახარჯების კონტროლის პარლამენტის მთავარი მექანიზმი. ეს ეხება ინსტიტუციას და არა კონკრეტულ პიროვნებას, ლაშა თორდიას ან ვინმე სხვას. აქედან გამომდინარე, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, პარლამენტი უნდა იყოს დაინტერესებული, რომ შექმნას ეს კომისია, მით უმეტეს, როცა ვხედავთ, რომ ფარცხალაძესთან სახლში დადიან სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები, იგეგმება გარკვეული ქმედებები და, როგორ ფიქრობთ, ის ადამიანები, რომლებიც მას სახლში ეახლებიან, ნორმალურად გამოიძიებენ საქმეს?! რა თქმა უნდა, არ გამოიძიებენ. ამიტომ პარლამენტი ვალდებულია, ამ შემთხვევაში შექმნას დამოუკიდებელი საგამოძიებო კომისია.

– რამდენად წავა ოცნება საგამოძიებო კომისიის შექმნაზე?

– ეს „ქართულ ოცნებასა“ და უმრავლესობას უნდა ესმოდეს, რომ ხელის დაფარება და თავზე ხელის გადასმა ფარცხალაძეზე უარესია მათთვის, რადგან, თუ მას დაუსჯელს დატოვებენ, კიდევ უარესს გააკეთებს ეს ადამიანი და უფრო უარესად შემოუბრუნდება ეს ოცნებას. დაუსჯელობის სინდრომი არის ყველაზე საშინელი რამ, რომელიც მთლიანად ანგრევს სახელმწიფო სისტემას. ოცნება კიდევ უარესს მიიღებს! არ ეგონოთ, რომ ახლა თუ არ შექმნიან საგამოძიებო სისტემას და ამ საქმეს ჩაფარცხავენ, ამით თორდიას დააკლდება რამე. ამით „ქართულ ოცნებას“ დააკლდება ყველაზე მეტი! დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვები, კიდევ უარესს მიიღებენ ფარცხალაძისა და მისნაირებისგან.

– სულ ამბობდნენ, რომ ფარცხალაძე არაფორმალურად მართავდა პროკურატურას. როგორ ფიქრობთ, კვლავაც შემორჩა მას გავლენები ამ ორგანოზე?

– პროკურატურასა და ფინანსურ პოლიციაში ყველა მაღალი თანამდებობის პირი მისი დანიშნულია. ეს ცალსახაა. ეს ადამიანები, რომლებიც დღეს მაღალ თანამდებობებზე არიან, ყველა ფარცხალაძის გუნდია და მასთან შეუთანხმებლად მნიშვნელოვან საკითხებს ისინი არ წყვეტენ.

– მოვისმინეთ შეფასებები, რომ ლაშა თორდია ნაციონალებთან დაახლოებული პირია და მათ საიდუმლო ინფორმაციებს აწვდიდა.

– ვთქვათ, ასეა, მერე რა?! ვიდეომასალას რომ ამოიღებენ, სადაც გამოჩნდება, რომ ფარცხალაძემ და მისმა გარემოცვამ სცემა ლაშა თორდიას, ეს რა შუაშია მასალების მიწოდებასთან? იმიტომ სცემა, რომ მასალებს აწვდიდა?! თუ ამიტომ სცემა, ეს მაინც კანონდარღვევაა, მაინც სისხლის სამართლის დანაშაულია. ხომ გესმით, რომ ეს არასაპირწონე არგუმენტია, არაფერ შუაში არ არის ამ საქმესთან!

– ფარცხალაძის ადვოკატები აცხადებენ, რომ, პირიქით, თორდია დაესხა თავს ფარცხალაძეს და ის დაზიანებებიც, რომლებიც მას აღენიშნებოდა, თავადვე მიიყენა. ამაზე რას იტყვით?

– ანუ რა გამოდის, ფარცხალაძე შევიდა აღნიშნულ კაფეში დაცვასთან ერთად და თორდია, როგორც ბრუსი ლი თუ ჩაკ ნორისი, მივარდა ამ დაჯგუფებას და სცემა მათ, შემდეგ, კვალი რომ დაეფარა, ერთი-ორი თავშიც მოირტყა? საკუთარი თავი იცემა, რომ ტვინის შერყევა ჰქონოდა? ეს ხომ სასაცილო ვერსიაა.

– თქვენ ამ ინციდენტის მთავარ მიზეზად თბილისის მერიისა და ფარცხალაძის კორუფციული გარიგება დასახელეთ. თბილისი მერი დავით ნარმანია გამოეხმაურა ამ ფაქტს და განაცხადა, რომ კორუფციას ადგილი არ აქვს, არსებობს დოკუმენტები, ყველაფერი კანონიერი გზით მოხდა.

– ნარმანია ჩვეულებრივი კორუმპირებული ადამიანია, რომელიც თვითონ ფულს იდებს ჯიბეში. აქედან გამომდინარე, მას სჭირდება პროკურატურისა და სწორედ იმ საგამოძიებო ორგანოების მფარველობა, რომლებსაც აკონტროლებს ფარცხალაძე. საქმე ძალიან მარტივია, სწორედ ამიტომ გამოვა და ბოლომდე კბილებით დაიცავს ფარცხალაძეს, ვინაიდან ის ხელს უწყობს.

სუს-ის უფროსი ირანის ისლამური რესპუბლიკის ელჩს შეხვდა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა ვახტანგ გომელაურმა საქართველოში ირანის ისლამური რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩ სეიედ ჯავად ყავამშაჰიდისთან გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გამართა.

შეხვედრაზე განიხილეს ორი ქვეყნის უსაფრთხოების სამსახურებს შორის არსებული თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებები. საუბარი შეეხო მსოფლიოსა და რეგიონში არსებულ ტენდენციებსა და გამოწვევებს. მხარეებმა ასევე განიხილეს სამომავლო გეგმები და თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები.

„ევროკავშირის კარზე ისე არ უნდა ვაკაკუნოთ, რომ შევაწუხოთ“

საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე თამარ ხულორდავა მიიჩნევს, რომ ახლა არ არის შესაფერისი დრო და, შესაძლოა, ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ ოფიციალური განაცხადის გაკეთება კონტრპროდუქტიული იყოს.

– ასოცირების შეთანხმება არის ევროპეიზაციის პროცესის ინსტრუმენტი ჩვენს ხელში. ეს არის საქართველოს ევროპულ სახელმწიფოდ გარდაქმნის სახელმწიფო გეგმა. ხშირად სვამენ კითხვას, რომ გვაქვს ასოცირების ხელშეკრულება, ვიზალიბერალიზაცია და შემდეგი რა არის? ეს ყველაფერი გვაქვს შესაძლებლობის სახით. ამ შესაძლებლობების ათვისება არის შემდეგი, ჩემი აზრით. არ ვამბობ, რომ ჩვენ არ გვქონდეს ამბიცია და აქტიურად არ უნდა ვაკაკუნოთ ევროკავშირის კარზე, მაგრამ ისე არ უნდა ვაკაკუნოთ და ისე შევაწუხოთ, რომ მერე ისე ჩარაზონ ის კარი, რომ ველარასოდეს ველარ ასრულდეს ჩვენი საბოლოო მიზანი. ყველას გვესმის, რომ ახლა საუკეთესო დრო ამისთვის არ არის, არც ჩვენი და არც ევროკავშირის მზაობის თვალსაზრისით, – განაცხადა ხულორდავამ საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე.

კობახიძე: „გამგებელს, შეიძლება, მერი ეწოდოს“

– გამგებელს, შეიძლება, მერი ეწოდოს, რაც ევროპაში საყოველთაოდ აპრობირებული პრაქტიკაა, – განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ. მისივე განმარტებით, ცვლილება მხოლოდ სახელწოდებას უკავშირდება და გამგებლის ინსტიტუტს არ ეხება.

– მერი ადგილობრივ დონეზე უმაღლეს თანამდებობის პირს ნიშნავს და ამიტომ, ეს ტერმინი აპრობირებულია. გამგებელი ქართული ტერმინია. ხშირად ეს ტერმინები აღრევას იწვევს. ადამიანებს ჰგონიათ, რომ მერი და გამგებელი სხვა რამეა და სხვადასხვა კომპეტენცია აქვთ. ამ დროს, მერსა და გამგებელს ზუსტად ერთნაირი უფლებამოსილებები აქვთ. უბრალოდ, ერთი ქალაქის, მეორე სათემო მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელია. თუნდაც ამ აღრევის თავიდან არიდებისთვის შეიძლება სწორი იყოს, რომ ერთი ტერმინი – მერი გამოვიყენოთ, – განაცხადა კობახიძემ.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაგურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

დავით დარჩიაშვილი: „შემოთავაზებული საარჩევნო სისტემა უტიფრობის სახეს ატარებს“

ნათია ხურცილავა

„ევროპული საქართველოს“ წევრი დავით დარჩიაშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საკონსტიტუციო ცვლილებებზე საუბრობს.

– ბატონო დავით, ირაკლი კობახიძემ საგანგებო პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ კონსტიტუციის ახალი რედაქციის განხილვა დამატებით 10 ქალაქში გაიმართება, ასევე ცნობილი გახდა, რომ თბილისშიც გაიმართება აღნიშნულ საკითხზე შეხვედრა. როგორ ფიქრობთ, ხელისუფლებამ რატომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ეს პროცესი გაგრძელებულიყო? გრძნობს გარკვეულ პასუხისმგებლობას?

– არ გამოვრიცხავ, რომ ხელისუფლება გარკვეულ დისკომფორტს გრძნობდეს და ამ გადაწყვეტილებით უნდოდეს ამის გადაფარვა. ალბათ, ამით არის ეს გადაწყვეტილება ნაკარნახევი.

– დისკომფორტს – რასთან დაკავშირებით?

– თბილისში ორი დღის წინ განვითარებულ მოვლენებს თუ შევაფასებთ, მძიმე სანახავი იყო. უშუალოდ ირაკლი კობახიძე და ორგანიზატორები კრიტიკის მეტს არაფერს იმსახურებენ. გასაგებია, რომ აუდიტორიიდან შეიძლება ვიღაცამ უსიამოვნო რამე გითხრას, გაგაკრიტიკოს, მაგრამ შენც იმავეთი უპასუხო და სხდომა ჩაშალო, ეს არის ორგანიზატორთა პასუხისმგებლობა.

ზოგადად, ეს პროცესი საინტერესოა მხოლოდ იქიდან გამომდინარე, რომ კარგად შუქდება და საზოგადოება ინფორმაციას იღებს, ინფორმირებული საზოგადოება კი ყოველთვის უკეთეს დასკვნებს აკეთებს, მეტად აწონ-დაწონის არგუმენტებს, თორემ, რაც შეეხება დარბაზებს, ეს გასაგებია, რომ თავიანთი მომხრეები ჰყავთ მიყვანილი და ისინი უსვამენ კითხვებს. ეს ცალსახაა.

– თუმცა გამოჩნდა, რომ არ ჰყავთ თავიანთი მომხრეები მიყვანილი.

– ამ შემთხვევაში გასაგებია, რომ განსხვავებული აზრის მქონე ხალხიც შედის და ოპოზიციურ პარტიების მომხრეებიც შედიან იმ განხილვებზე, მაგრამ მე ვსაუბრობ ძირითად მასაზე, რომელიც მიყვანილია და რომლებიც სრულიად არაადეკვატურ რაღაცას ამბობენ. ესეც ფაქტია. შესაბამისად, ხდება საერთო-სახალხო განხილვების პროფანაცია, იმიტაცია, რაც ვერანაირად ვერ აკომპენსირებს იმას, რომ ასეთ მნიშვნელოვან საკითხს სულ რაღაც ოთხი თვე დაუთმეს, თანაც იმ ფონზე, როდესაც არავინ ეთანხმება კომისიის მუშაობას. ეს არის სრულიად მიუღებელი, უპასუხისმგებლობა, როდესაც ქვეყნის მომავლის ბედს მხოლოდ რამდენიმე ადამიანი წყვეტს.

– თქვენთვის ყველაზე მიუღებელი მაინც რა არის ამ ახალ პროექტში?

– გამარჯვებულ პარტიას რომ მიაქვს ყველა საპროტესტო ხმა და ამას ბონუსსისტემას ეძახიან. ამის გამართლება რაიმე სახის არგუმენტით სრულიად მიუღებელია და უტიფრობის სახეს ატარებს.

– შემოთავაზებული საარჩევნო სისტემა არ მოგწონთ?

– როგორ უნდა მომწონდეს, როდესაც აბსურდს გვთავაზობენ?!

– გარკვეულ მაგალითებს ასახელებენ საბერძნეთის, იტალიის...

– ეს კიდევ უფრო დიდი არაადეკვატურობაა, რადგან იმ მაგალითების არც კონტექსტია გათვალისწინებული და არც ის მექანიზმები, რომლებიც იმ ქვეყნებში მოქმედებს, რომლებიც არავითარ შემთხვევაში არ უშვებენ სრულ უზურპაციას.

– ჩვენს შემთხვევაში ძალაუფლების უზურპირების საფრთხე რამდენად არსებობს? პარლამენტის თავმჯდომარე მას „მცირე ბონუსს“ უწოდებს.

– გასაგებია, რომ „მცირე ბონუსს“ უწოდებს, სხვას რას უწოდებს, მაგრამ რატომ არ ამბობს სხვა იმ მექანიზმებზე, დემოკრატიულ ინსტიტუტებზე, რომლებიც იმ ქვეყნებშია და რომლებიც არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებენ სრულ უზურპაციას. არჩევნებზე თუ 25%-ს აიღებ და 75%-ს წაიღებ, ეს არანაირად არ ჯდება დემოკრატიის სტანდარტებში.

აქვე საარჩევნო ბარიერის საკითხს რომ არ შევეხო, არ შეიძლება. არ შეიძლება, ბარიერი იყოს 5% და ასეთ საარჩევნო სისტემას გვთავაზობდნენ. ეს, რასაც გვთავაზობენ, ნამდვილად არის დემოკრატიის პროფანაცია, დემოკრატიის გაყალბება და სხვა არაფერი.

– პრეზიდენტის არჩევის წესი ასეთ პროტესტს არ იწვევს? ხელისუფლების არგუმენტი მისაღებია, რომ საპარლამენტო რესპუბლიკების დიდ უმრავლესობაში პრეზიდენტი ირიბად ირჩევა, მისი უფლებამოსილების შესაბამისად?

– ეს არგუმენტი სრულიად მისაღები იქნებოდა, თუ, რა თქმა უნდა, საქართველოშიც დასავლური ტიპის დემოკრატია იქნებოდა. ეს

არგუმენტი მისაღები იქნებოდა, თუ, ევროპული საპარლამენტო რესპუბლიკების მსგავსად, ჩვენს ქვეყანაშიც იქნებოდა ძლიერი დემოკრატიული ინსტიტუტები. სამწუხაროდ, საქართველო დემოკრატიული ქვეყნების ცუდი ასლია. უნდა არსებობდეს დაბალანსებული სისტემა, ინსტიტუტები, სასამართლო, პარლამენტი, მთავრობა, რომლებიც ერთმანეთს აბალანსებენ და აწონასწორებენ. ასევე უნდა არსებობდეს ნდობა, თუ ვინ არის ის 300 ხმოსანი, ვის შეიძლება, ნდობა გამოვუცხადოთ ჩვენ, საქართველოს მოქალაქეებმა. დღეს მთელი ძალაუფლება ერთი გუნდის ხელშია მოქცეული. ეს გუნდი აკონტროლებს ყველაფერს, პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობა ჰყავს. ამ დროს პრეზიდენტის არჩევის უფლება წაართვა საზოგადოებას, ეს უკვე სხვა ელფერს იძენს, რომელსაც საერთო არაფერი აქვს იმ ევროპულ საპარლამენტო დემოკრატიასთან. თუმცა, სრულიად მიუღებელი მაინც ის ბონუსსისტემაა, რომელსაც ხელისუფლება გვთავაზობს.

– ოპოზიციური პარტიები ყველაზე მტკივნეულად სწორედ საარჩევნო სისტემას აღიქვამენ.

– დიახ, მაგრამ 2% რომ იყოს საარჩევნო ბარიერი, მაშინ პირადად მე შეიძლება მეთქვა, რომ საარჩევნო ბლოკების გაუქმება არ არის ტრაგედია, მაგრამ 5%-იანი ბარიერი ძალიან მაღალია.

– ბევრი ვენეციის კომისიის დასკვნის მოლოდინშია. თქვენც ამ მოლოდინში ხართ, რომ ვენეციის კომისია არ მოიწონებს შემოთავაზებულ საარჩევნო სისტემას და რაღაც შეიცვლება?

– დიახ, მეც ვენეციის კომისიის დასკვნის მოლოდინში ვარ. მგონია, რომ ამ ხელისუფლებას გაუჭირდება ვენეციის კომისიის დასკვნის სრული იგნორირება. რაც შეეხება თავად დასკვნის შინაარსს, ვფიქრობ, ამ ნაწილში ცალსახად კრიტიკული იქნება, ამიტომ მეორე, სარეზერვო ვარიანტს ამზადებენ.

– თქვენ ფიქრობთ, რომ ასეთი ვარიანტი არსებობს?

– მე არ მინახავს, არ მიმესვლება მათთან, რომ მსგავსი რამ ვნახო, მაგრამ შეიძლება წარმოდგენა, რომ შეიძლება სომხური კონსტიტუციის მსგავსი მოდელი ჰქონდეთ სარეზერვოდ გამზადებული. რა არის ეს სომხური მოდელი? ამ შემთხვევაშიც მეტი ხმა მიაქვს ბონუსის სახით გამარჯვებულ პარტიას, მაგრამ ამ ხმების რაოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს 52%-ს. მთლიანობაში ესეც უსამართლო იქნება, მაგრამ მაინც გვეტყვიან, ხომ გავითვალისწინეთ შენიშვნაო. ეს კი იქნება ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისის გაღრმავება და მეტი არაფერი. ეს იქნება დათმობა, რომელსაც არსებითი ხასიათი არ ექნება.

– თქვენი პარტიის მხრიდან პლებისციტის მოთხოვნა კვლავ ძალაშია?

– დიახ. ამ შემთხვევაში ხელისუფლების პოზიცია აჩვენებს, თუ რამდენად აინტერესებთ მათ ხალხის აზრი. უფრო სწორად, აინტერესებთ, რომ საერთოდ არ აინტერესებთ. ძალიან სერიოზული საკითხია, საქართველო საპარლამენტო რესპუბლიკა იქნება თუ საპრეზიდენტო და როგორი საარჩევნო სისტემა იქნება, თუ ხალხზე აპელირებენ, მაშინ ყველაზე სწორი გზა არის პლებისციტი, რომელსაც აქვს ხალხის გამოკითხვის რეკომენდაცია და რომელიც აჩვენებს საზოგადოებაში დომინირებულ აზრსა და განწყობას. რა შეიძლება, ამ აზრის საწინააღმდეგო იყოს? ეს ხომ არის დემოკრატიის გზა. შეიძლება გვითხრან, რომ ჩვენი წინამორბედიც ჩადიოდა დემოკრატიის საწინააღმდეგო ქმედებებს, რაც დემოკრატიის სტანდარტებში არ ჯდებოდა, მაგრამ ეს ხელისუფლება იმისთვის ხომ არ მოსულა, რომ იგივე გაიმეოროს ან გააუარესოს.

შორენა მარსაგიშვილი

„ვოლსკის სიზარმაცის გამო ბიუჯეტი მილიონებს არ უნდა ხარჯავდეს“

მარიამ ქელბაქიანი: ქუთაისის პარლამენტის შენახვა ბევრად უფრო იაფია“

დღეს დიდი ნივიდ-ჯივიდია იმაზე, თუ სად უნდა იყოს ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ოხგანო. ამ დროისთვის დეპუტატები 2 პარლამენტში მოღვაწეობენ და 2 პარლამენტის შენახვა ბიუჯეტს დამატებითი თანხები უჯდება.



„ქართული ოცნების“ უმრავლესობის უმრავლესობა პარლამენტის თბილისში გადმოტანას უჭერს მხარს. მეოცნებეთა მცირე ჯგუფი და ნაციონალები მიიჩნევენ, რომ პარლამენტი სავარდო და სამაისო ქუთაისში უნდა დარჩეს.

ორივე მხარე იმაში თანხმდება, რომ 2 პარლამენტის შენახვა ბიუჯეტს ძვირი უჯდება.

„სამოქალაქო პლატფორმა – ახალი საქართველოს“ მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, თბილისის პარლამენტის შენობის შენახვა უფრო ძვირი ყოფილა.

– 2016 წელს ქუთაისში მდებარე საქართველოს პარლამენტმა 688.848 ლარის კომუნალური გადასახადი გადაიხადა, რომელშიც შედის ელექტროენერგია, წყალი, ბუნებრივი აირი და დასუფთავება, – განაცხადა „ახალ თაობასთან“ საუბარში „ახალი საქართველოს“ წარმომადგენელმა მარიამ ქელბაქიანმა.

მისივე ინფორმაციით, გასულ წელს თბილისში მდებარე შენობამ მარტო კომუნალურ გადასახადებში 1.065.998 ლარი გადაიხადა.

ქელბაქიანის განმარტებით, ეს კვლევაც კარგად მეტყველებს იმაზე, თუ სად უნდა იყოს პარლამენტი.

– გამოდის, რომ თბილისის პარლამენტი ნახევარჯერ მეტ თანხას იხდის, ვიდრე ქუთაისის პარლამენტი. როცა ქუთაისის პარლამენტიდან თბილისის პარლამენტში გადმოსვლას „აპრავებენ“, „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები ხარჯების შემცირებაზე საუბრობენ, მხოლოდ ეს ფაქტი სხვა რამეზე მეტყველებს.

მთელი ეს წლები ამტკიცებდნენ, რომ ახალი პარლამენტის შენახვა ძალიან ძვირი ჯდებოდა, ამ კვლევის მიხედვით კი ნათლად ჩანს, თუ რომელი შენობის შენახვა ჯდება გაცილებით ძვირი, – ამბობს მარიამ ქელბაქიანი.

მისი განცხადებით, ქუთაისში პარლამენტის დარჩენა ამ ქალაქისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

– იმის გულისთვის, რომ ვოლსკის სიარული ეზარება, პარლამენტი ქუთაისიდან არ უნდა გადმოვიდეს და დამატებით მილიონები არ უნდა დაიხარჯოს. არც იმას აქვს მნიშვნელობა, რომ დეპუტატების დიდი ნაწილი თბილისელია. დეპუტატები სხვადასხვა რეგიონიდანაც არიან და მათთვის მნიშვნელობა არა აქვს, რომელ ქალაქში წავლენ, თბილისში თუ ქუთაისში, – ამბობს „ახალი საქართველოს“ წარმომადგენელი.

მისი თქმით, იმ თანხით, რომელსაც თბილისის პარლამენტი მარტო კომუნალურებში ხარჯავს, თავისუფლად შეიძლება, დეპუტატებს გადაადგილების პრობლემა მოვუხსნათ.

– 1.065.998 ლარად თავისუფლად უზრუნველყოფთ 150 პარლამენტარის გადაადგილებას. ეს თანხა 150-ზე რომ გავყოთ, დაახლოებით 7.000 გამოსდის თითოს. ეს სავსებით საკმარისი იქნება იმისთვის, რომ ქუთაისამდე ჩავიდნენ. დღეს კი მხოლოდ იმისთვის, რომ პარლამენტარებს ეზარებათ ჩვენივე ნაქირავები ავტომობილებით გადაადგილება, ბიუჯეტიდან მილიონ ლარზე მეტს ვხარჯავთ, – განაცხადა მარიამ ქელბაქიანმა.

მისი განმარტებით, ამდენი თანხის ტყუილი ხარჯვა თუნდაც იმიტომ არის უაზრობა, რომ დეპუტატები პარლამენტში თითქმის არ დადიან.

– ჩვენ არაერთხელ ვნახეთ, რომ პარლამენტის სხდომები კვორუმის არარსებობის გამო ვერ დაიწყო. ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევით გამოჩნდა, რომ მხოლოდ რამდენიმე დეპუტატი გამოვიდა საკანონმდებლო ინიციატივით. უსაქმური დეპუტატების გამო ამდენი ფულის გადაყრა დაუშვებელია.

ჩვენს კვლევაში მხოლოდ კომუნალურ გადასახადებზეა საუბარი. ამას თანამშრომლების ხელფასები, ინტერნეტისა და ტელეფონის გადასახადიც რომ დამატებოდა, დანახარჯი გაცილებით დიდი იქნებოდა. და ეს დანახარჯი მართლაც დიდია, უბრალოდ, ის ჩვენს კვლევაში ასახული არ არის. უაზროდ იხარჯება აქეთ-იქით ფული. ამ ბიუჯეტს კი ამდენი მართლა არ შეუძლია, – ამბობს „ახალი საქართველოს“ წევრი.

მისი განმარტებით, რაც მალე მოეძებნება თბილისის პარლამენტის შენობას ახალი ფუნქცია, მით უკეთესი იქნება ქვეყნისთვის.

– ამ მთავრობას მყიდველის პოვნა ნამდვილად არ გაუჭირდება. მოუძებნონ თბილისში მდებარე შენობას მყიდველი და თავი დაანებონ ბიუჯეტიდან ფულის ტყუილად ხარჯვას, – აღნიშნავს ქელბაქიანი.

„გიგა ბოკერია მითითებებს ივანიშვილისგან იღებს“

შორენა მარსაგიშვილი

ხა შეთანხმებაა მოქმედ და ყოფილ ხელისუფლებებს შოხის, ხოგოხ მიითვისა „ოცნებამ" ბიუჯეტიდან მილიონები, ხა მითითებებს იღებს ბოჯეხია შუშის სასახლეში? – ამ თემებზე „ახალ თაობას" დემოჯხატიული მოძხაობის ეხთ-ეხთი ლიდეხი ბესო დანელია ესაუბხება.

ბესო დანელია:

– ახალი კონსტიტუციის ფორმირების პროცესმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ ყოფილი და მოქმედი ხელისუფლება ერთად არიან. ვითომ სახალხო განხილვაში მხოლოდ „ქართული ოცნება“ და ყოფილი ხელისუფლების ლიდერშიპი არიან წარმოდგენილი.

თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ ეს 2 პარტია ჩამოყალიბდა ერთ ძალად და მერაბიშვილ-უგულავას გზას აგრძელებენ.

– მერაბიშვილ-უგულავას გზის გაგრძელებაში რას გულისხმობთ?

– ვითომ სახალხო განხილვაზე დარბაზებს მერიის და თვითმმართველობის ორგანოების თანამშრომლებით – ტაშის დამკვრელებით ავსებენ, რომლებიც მოქმედ და ყოფილ ხელისუფლებებს ერთად უკრავენ ტაშს.

მათ მიერ მომზადებულ ცვლილებებს არც ერთი პოლიტიკური ძალა არ უჭერს მხარს. სააკაშვილი იმას მაინც ახერხებდა, რომ ხელოვნურად ქმნიდა ოპოზიციას და მათ აკვრევინებდა ტაშს. ამათ დემოკრატია და ხალხი საერთოდ ფეხებზე დაიკიდეს. ისინი ცდილობენ, ხელისუფლებაში ყოფნა სამუდამოდ დაიკანონონ. ამას წინ საუკუნის აფიორა უძღოდა, რომლის წყალობითაც პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობა მიიღეს.

მათთან ერთად სამუდამოდ ხელისუფლებაში აპირებს დარჩენას ნაციონალური მოძრაობა. ჩვენ დიდი ხანია ვამბობთ, რომ ეს 2 ძალა შეკრულია, გიგა ბოკერიას განცხადებამ ეს დაადასტურა.

15 მაისს ხალხმა ნაციონალები და „ოცნება“ ერთად გამოაბუნძურა ფილარმონიიდან. გარეთ გამობუნძურებულმა ბოკერიამ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ „ქართული ოცნების“ მიერ მომზადებულ ცვლილებებს არც ერთი პარტია არ უჭერს მხარსო.

ამ განცხადების შემდეგ ბოკერია ივანიშვილმა დაიბარა შუშის სასახლეში. იქიდან წამოსვლის შემდეგ განაცხადა, რომ მისი პარტია მხარს უჭერს მიწების გაყიდვას. ეს უკვე იმის ღია დადასტურებაა, რომ ეს 2 ძალა ერთად არის.

ქართველი საზოგადოება მთელი ამ წლების მანძილზე ნაციონალების მოშორებისთვის იბრძოდა. ამ ბრძოლის შედეგად მივიღეთ კოაბიტირებული 2 ძალა, რომელსაც უზარმაზარი ფინანსები გააჩნია.

– როცა ამბობთ, გიგა ბოკერია შუშის სასახლეში დაიბარესო, ეს თქვენი ვარაუდია თუ რაიმე კონკრეტულ ინფორმაციას ფლობთ?

– ჩვენი პარტიის ლიდერებმა ისაუბრეს იმაზე, რომ გიგა ბოკერია არაერთხელ იყო შუშის სასახლეში მისული და არაერთხელ გაიმართა მასთან კონსულტაციები. ამ შეხვედრებს შედეგად ციხიდან უგულავას გამოშვება მოჰყვა, შემდეგ ნაციონალების ლიდერების ნაწილმა ევროპული საქართველო შექმნა.

საუბარია იმ ხალხზე, რომლებმაც სისხლიანი 9 წელი შექმნეს. „ოცნება“ ხელისუფლებაში მოსვლამდე მათი გასამართლების პირობას დებდა და ამიტომ დაუჭირა ხალხმა მათ მხარი 2012 წელს. ამის ნაცვლად მივიღეთ კოაბიტაცია. მოქმედი და ყოფილი ხელისუფლება ერთ ურჩხულად მოგვევლინა, რომელიც უარყოფს დემოკრატიას. ამ უზარმაზარი ფინანსების მქონე მონსტრთან ბრძოლა ძნელი იქნება, მაგრამ უნდა ვიბრძოლოთ.

არაფრით არ უნდა მივცეთ იმის უფლება, რომ გაუქმდეს პრეზიდენტის პირდაპირი არჩევის წესი. ამას თუ დავუშვებთ, ყველა სახელმწიფო ინსტიტუტს ეს მონსტრი აიღებს ხელში. ხალხის პროტესტის შემთხვევაში ყველაფერი გამოვა. ამ ხელისუფლებას ძალიან ეშინია ხალხის და ეს 15 მაისსაც გამოჩნდა.

15 მაისს ირაკლი კობახიძემ დაამტკიცა, რომ ყველაზე სამარცხვინო პარლამენტის თავმჯდომარეა. მან სტუდენტებს, ძალიან განათლებულ ბავშვებს ახალგაზრდა კომუნისტები ეძახა. სხვა ქვეყანა რომ ყოფილიყო, ამ განცხადების გამო კობახიძის იმპიჩმენტის პროცედურა უკვე დაწყებული იქნებოდა.

– იმპიჩმენტს არავინ მოუწყობს, მაგრამ ის თვალშისაცემი იყო, რომ მის მხარდასაჭერად „ოცნების“ არც ერთ დეპუტატს არ ამოუღია ხმა.

– როგორ უნდა დაეცვათ? ადამიანს თუ ოდნავი კულტურა მაინც გააჩნია, ის მიხვდებოდა, რომ კობახიძის განცხადებები საკუთარი მოქალაქეების მიმართ სიძულვილის ენას შეიცავდა. განსაკუთრებით აღმაშფოთებელია ის ფაქტი, რომ პარლამენტის სპიკერი სიძულვილის ენით ახალგაზრდებს – ქვეყნის მომავალს ესაუბრებოდა.

ძალიან სამარცხვინო იყო ის მომენტი, როცა მიწების გაყიდვის ინიციატორი ილიას გზაზე სიარულისკენ მოგვიწოდებდა. ილია ჭავჭავაძემ სადგილმამულო ბანკი იმიტომ შექმნა თავის დროზე, რომ თავად-აზნაურების მიერ სხვადასხვა უცხოურ ბანკებში ჩადებული ქართული მიწები გამოესყიდა და ქვეყნისთვის შეენარჩუნებინა. კარგი იქნება თუ სპიკერი ილიას გზაზე აღარ დაგველაპარაკება, უბრალოდ, უხერხულია.

ირაკლი კობახიძეზე საუბარი ძალიან მეუხერხულება. ის ჩვენი მეგობრის გია კობახიძის შვილია. გია კობახიძე ჩვენი თანამებრძოლია და მე დღემდე ვამაყობ იმით, რომ მასთან ერთად ვიბრძოდი სისხლიანი რეჟიმის წინააღმდეგ. ძალიან სამწუხაროა, რომ ირაკლის მამისგან პოლიტიკური კულტურა არ გამოჰყვა.

გული მტკივა, რომ ირაკლი ასე იქცევა. ის კარიერის დასაწყისშივე ასამარებს თავის პოლიტიკურ მომავალს. ყველაზე ცუდი ისაა, რომ ის ქვეყნის მომავალსაც უქმნის პრობლემებს.

– გია კობახიძე წლების განმავლობაში იყო დემოკრატიული მოძრაობის წევრი. მისმა შვილმა ცოტა ხნის წინ განაცხადა, რომ ერთკაციანი პარტიები, მათ შორის დემოკრატიული მოძრაობაც, ბიუჯეტიდან დაფინანსებას არ უნდა იღებდესო. ამაზე რას იტყვით?

– ეს იყო სამარცხვინო და წარმოუდგენელი განცხადება. ირაკლი კობახიძემ თქვა, რომ თითქოს ფიქტიურად შექმნილი ბლოკით ჩვენ უსამართლოდ ვიღებთ ბიუჯეტიდან დაფინანსებას. 2013 წელს „ქართულმა ოცნებამ“ პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონში შეიტანა ცვლილებები, რომლითაც ბლოკში შემავალ ყველა საპარლამენტო ფრაქციაზე დაიმატა 300.000–300.000 ლარი.

აღსანიშნავია, რომ ეს ცვლილება შეტანილი იქნა უკვე არჩევნების შემდგომ ანუ მათ პოსტფაქტუმ შეცვალეს დაფინანსების წესი და თავის ბლოკში შემავალი პარტიების დასაფინანსებლად ბიუჯეტიდან 1.800.000 აიღეს.

ეს არ იკმარეს და „ქართულმა ოცნებამ“ დამატებით დაიკანონა 4 ადგილი ცესკოში, რომელიც ოპოზიციით უნდა დაკომპლექტებულიყო. მათ მოიპოვეს ცესკოში უმრავლესობა და საარჩევნო პროცესებზე სრული კონტროლი დაამყარეს.

ცესკოში ადგილების დათრევის შემდეგ მათ მიეცათ იმის საშუალება, რომ 4 წევრი ყველა დონის კომისიებში დაენიშნათ. ამაზე ბიუჯეტიდან კიდევ დამატებით მიიღეს თანხები. ფრაქციების დაფინანსებასთან ერთად 3.000.000 გამოდიოდა ეს თანხა.

ახლა ისე აკეთებენ ყველაფერს, რომ მხოლოდ მათ და ყოფილ ხელისუფლებას ჰქონდეს დაფინანსება. არადა ხელისუფლებაში მათი გასამართლების პირობით მოვიდნენ. სამწუხაროდ არაფერი შეცვლილა, მხოლოდ ერთი რეჟიმი ჩაანაცვლა მეორემ.

მსგავსი თაღლითობა არ ახსოვს საქართველოს და სამარცხვინოა, როცა ირაკლი კობახიძე ჩვენზე ასეთ რამეს ამბობს.

მინდა შევახსენო ამ ახალგაზრდა კაცს, რომ ჩვენ პარტიას ჰყავს 49 პოლიტპატიმარი. სააკაშვილის სისხლიანმა რეჟიმმა მოგვიკლა 10 ადამიანი. ჩვენ მარტონი დავრჩით სააკაშვილის წინააღმდეგ ბრძოლაში და 2011 წლის 26 მაისს სისხლის გუბეში ჩაგვახრჩო ნაცმოძრაობამ.

ბესო დანელია: „ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა ერთ მონსტრად ჩამოყალიბდა“

ჩვენ ისევ სიმართლისთვის ვიბრძვით, ირაკლი კობახიძე კი პარლამენტში სისხლიანი რეჟიმის წარმომადგენლებთან ერთად ზის და ეს მას დისკომფორტს არ უქმნის. არადა „ოცნების“ მაჟორიტარების დიდი ნაწილი ახლო წარსულში სააკაშვილს უჭერდა მხარს.

იმის მაგივრად, რომ მათთვის პასუხი მოეთხოვათ, სიხარულით მიიღეს თავის რიგებში. ბოკერია საერთოდ გვერდზე დაისვეს და ერთად გვიკითხავენ მორალს.

– 26 მაისის დარბევა ახსენეთ და ბიძინა ივანიშვილს პოლიტიკაში მოსვლა სწორედ ამ ფაქტმა გადააწყვეტინა. კობახიძემ წესით ეს უნდა იცოდეს.

– ბიძინა ივანიშვილმა თავის წერილში პირდაპირ დაწერა, რომ 26 მაისის დარბევა იყო ბოლო წვეთი და მან პოლიტიკაში მოსვლა გადაწყვიტა. ძალიან სამწუხაროა, რომ ეს სისხლიანი ოპერაცია დღემდე გამოუძიებელია. დღემდე არ დასჯილან სულიკო ასათიანის და ნიკუშა კვინტრაძის მკვლელები.

არ დასჯილან არც დამრბევები და არც ის პროკურორები, რომლებიც ციხეებში გვიშვებდნენ. იმის ნაცვლად, რომ კობახიძე ამ საქმეების გამოძიებას ითხოვდეს, იმაზე წუხს, რატომ ვიღებთ ბიუჯეტიდან დაფინანსებას.

კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ „ოცნება“ ნაციონალებს შეეზარდა და ერთად დაუპირისპირდნენ საზოგადოებას და ოპოზიციას. მათთან ბრძოლა ძნელი იქნება, მაგრამ არა შეუძლებელი. ჩვენ არ გვეშინია სიძნელეების. ყველას ახსოვდეს, რომ ნაციონალური მოძრაობა ხერხემალში ჩვენ გადავტეხეთ, რაც ძალიან ძვირი დაგვიჯდა. არც ჩვენ და არც საზოგადოება არ შეეგუება იმას, რომ ქვეყანა ამ მონსტრმა მართოს.

სიგარბარის მოსაწყობად ნებართვის მიღება 15 ათასი ლარი ეღირება

„თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტთა პაკეტს მიმდინარე კვირის პლენარულ სხდომაზე განიხილავენ.

ბიუროს სხდომაზე ახალი საკანონმდებლო ინიციატივები დარეგისტრირდა, მათ შორის „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე კანონპროექტი, რომლის თანახმად, სანებართვო მოსაკრებლის განაკვეთებს სიგარაბარის მოწყობის ნებართვის განაკვეთი ემატება, რომელიც 15.000 ლარით განისაზღვრება.

სეტყვამ გურჯაანის სოფლები დააზარალა

სეტყვამ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფლები – არაშენდა, ჩალაუბანი, მელაანი და ჯიმითი დააზარალა. სტიქია დაახლოებით 10 წუთის განმავლობაში გრძელდებოდა.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგებელ გივი გერგიძის ინფორმაციით, სეტყვა ძირითადად დასახლებულ ტერიტორიაზე იყო და ნათესები გადარჩენილია.

– მე თვითონ მოვყევი ჩალაუბანში სეტყვაში. ამ დროისთვის რაც შეგვიძლია გითხრათ, ნათესები და სავარგულები გადარჩენილია. ძირითადად სოფლებია დასეტყვილი. უფრო ზუსტი ინფორმაცია ხვალ მექნება, – განაცხადა გერგიძემ „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას.

ბექა ნაცვლიშვილი: „ფილარმონიაში შეკრებილ სტუდენტებს კომუნისტური არაფერი უთქვამთ“

– ადამიანების დაყოფა, ვინ ლიბერალია, ვინ კომუნისტია, ვინ კონსერვატორია, ვინ სოციალისტია, ვინ სოციალ-დემოკრატია და ამ ფორმით უარყოფა ჩემთვის მიუღებელია!

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ფრაქცია „ქართული ოცნება – სოციალ-დემოკრატების“ წარმომადგენელმა ბექა ნაცვლიშვილმა პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძის მიერ სტუდენტთა ერთი ჯგუფის მისამართით გაკეთებულ რეპლიკაზე დასმული კითხვის პასუხად განუცხადა.

როგორც დეპუტატმა სააგენტოსთან საუბრისას აღნიშნა, ნებისმიერი ადამიანი თავისუფალია აირჩიოს მსოფლმხედველობა, რომელიც მას მიაჩნია სწორად. ნაცვლიშვილის თქმით, პირადად ის სოციალ-დემოკრატია და ვინმემ რომ უთხრას, სოციალ-დემოკრატების ადგილი ქვეყანაში არ არის და სოციალ-დემოკრატების ეპოქა დასრულდაო, არ ესიამოვნება.

ამასთან, ბექა ნაცვლიშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ფილარმონიაში შეკრებილ სტუდენტებს კომუნისტური არაფერი უთქვამთ და მათი მხრიდან საუბარი იყო შრომის კოდექსზე, შრომის უსაფრთხოებასა და ტყიბულში დაღუპულ მაღაროელებზე.

– საკითხები, რომლებიც სტუდენტებმა გააჟღერეს, თანხვედრაშია იმ იდეებთან, რომლებიც ამოძრავებს ევროპასა და მთელ ცივილიზებულ სამყაროს. რაც შეეხება კომუნიზმს, კომუნიზმი იმ ფორმით, რაც საბჭოთა კავშირში იყო, რა თქმა უნდა, მთლიანად უარსაყოფელი და მანკიერი იყო. ზოგადად, ევროპაშიც არსებობს კომუნისტური პარტიები, რომლებიც არ იზიარებენ იმ გზასა და იდეას, რასაც საბჭოთა კავშირში კომუნისტური პარტია იზიარებდა და მათი ლეგიტიმაციის საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ არ დგება ხოლმე. ამიტომ ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია აირჩიოს იდეოლოგია, მსოფლმხედველობა, რომელიც ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს და ღირებულებებს არ ეწინააღმდეგება. ამიტომ გააჩნია, რა კონტექსტში იქნა ნათქვამი – თუ ზოგადად, კომუნიზმის როგორც იდეოლოგიის უარყოფა მოხდა, მე ამას არ ვეთანხმები, – განაცხადა ბექა ნაცვლიშვილმა.

აქვე დეპუტატმა აღნიშნა, რომ სტუდენტურ მოძრაობა „აუდიტორია 115“-ს „სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან“ არანაირი კავშირი არ აქვს და მათ შორის კავშირის შესახებ ინფორმაცია სინამდვილეს არ შეესაბამება.

დიმიტრი ლორთქიფანიძე: „უცხოელებისთვის საქართველოს მოქალაქეობის მიღება უნდა გართულდეს“

გულიკო ბალაძე

პარლამენტის ყოფილი წევრი, „დემოკრატიული მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი დიმიტრი ლორთქიფანიძე „ახალ თაობასთან“ აცხადებს, რომ უცხოელი მოქალაქეების მხრიდან საქართველოში მიწების შესყიდვის პროცესი კვლავაც გრძელდება, რასაც შესაბამისი საკანონმდებლო ბაზისა და კონსტიტუციაში შესაბამისი მუხლის არარსებობა იწვევს.

– ბატონო დიმიტრი, ფილარმონიაში კონსტიტუციასთან დაკავშირებული ბოლო შეხვედრა ჩაიშალა. კონსტიტუციის ახალი პროექტის განხილვები რა მთავარ პრობლემას აჩვენებს?

– პრობლემა საყოველთაო უნდობლობაა პოლიტიკური პროცესისა და იმ პოლიტიკური სისტემის მიმართ, რომელიც ქვეყანაში 20 წელია გაბატონებულია. მოქკავშირი, ნაცმოძრაობა, „ქართული ოცნება“ ერთსისტემური მმართველობაა სხვადასხვა სახელწოდებაში. ესენი არიან მონსტრი სახელისუფლებო პოლიტიკური ძალები, რომლებიც იქმნებიან კონკრეტული ნარატივით, კონკრეტული ფუნქციის შესასრულებლად. მათ ჰყავთ კონკრეტული დამკვეთი, დიდი ძალთა გაერთიანება დასავლელი პარტნიორების სახით.

ამ სახელისუფლებო ძალებმა უნდა გაატარონ კონკრეტული დირექტივები, რაც არის სხვადასხვა მემორანდუმში, მითითებაში. საბოლოოდ ვიღებთ მოსახლეობის უკმაყოფილებას. ხელისუფლება მუდმივად გვპირდება ცვლილებებს, აცხადებს, რომ ის, რაც საკანონმდებლო დონეზე ვითარდება, კავშირშია დასავლური კანონმდებლობის ჰარმონიზაციასთან.

– რატომ იშლება პროცესი?

– იმისათვის, რომ დასავლური დაკვეთით შექმნილი სახელისუფლებო მონსტრის არსებობა იყოს უზრუნველყოფილი და გარანტირებული, მუდმივად საჭიროა იმ ტიპის ცვლილებები, რომლებსაც ახლა ახორციელებს „ქართული ოცნება“ კონსტიტუციაში. მანამდე ცვლილებები განახორციელა ნაცმოძრაობამ.

2003-2010 წლებში ფუნდამენტური რეფორმა მოახდინა და 21 ცვლილება შეიტანა. კონსტიტუციის სრული რეფორმა ჩაატარა, საპრეზიდენტოდან საპარლამენტო მმართველობაზე გადაგვიყვანა.

პრეზიდენტს შეუნარჩუნა ძალთა ბალანსის ფუნქცია. „ქართულმა ოცნებამ“ იმავე საპარლამენტო მმართველობის ფორმაზე დარჩენა ისურვა.

თუმცა, 2010 წელს პრეზიდენტს ნომინალურად დატოვებული უფლებამოსილებებიც გააუქმა, პრეზიდენტის ინსტიტუტს აღმასრულებელ ხელისუფლებასა და პრემიერ-მინისტრზე კონტროლის განხორციელების ყოველგვარი შესაძლებლობა მოუსპო.

– მმართველი გუნდი ამბობს, რომ ეს მეტი სტაბილურობისთვის კეთდება. კობახიძემ მაგალითი მოიყვანა და მართლაც ჩვენ ვხედავდით, როგორ ვერ თანხმდებოდნენ პრეზიდენტი და პრემიერი, თუ ვის უნდა მოეწერა ხელი ასოცირების ხელშეკრულებაზე.

– სტაბილურობაში გულისხმობენ იმ კომპრომისებს, რომლებიც ხელისუფლების მიტაცების პრინციპთან არის გაიგივებული. უნდათ, ამას გაგებით მოეკიდოს საზოგადოება.

– რას გულისხმობთ?

– ვგულისხმობ იმას, რომ საკონსტიტუციო კომისიას სახელმწიფო მმართველობის ფორმაზე საერთოდ არ უმსჯელია.

– სტაბილურობაში ვგულისხმობდი პრემიერისა და პრეზიდენტის უფლებამოსილებებს შორის წონასწორობას.

– მაშინ საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რა უფლებამოსილებები ჰქონდა პრეზიდენტს და რა აღარ ექნება. მაგალითად, პრეზიდენტს უფლება ჰქონდა, უზენაეს სასამართლოში წარედგინა სამი მოსამართლეობის წევრობის კანდიდატი. სრულიად ნორმალურია, რომ ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტი წარადგენს უზენაეს სასამართლოში დასანიშნად სამ კანდიდატს. ამით უზრუნველყოფს სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობას, გამჭვირვალობას. როდესაც პრეზიდენტს სახალხოდ აღარ ირჩევენ და სამოსამართლო კანდიდატების წარდგენის უფლებას უსპობენ, ამით ქვეყანაში დემოკრატიის ხარისხს ამცირებენ. პრეზიდენტს უშიშროების საბჭოს უუქმებენ, რომელიც მისი სათათბირო ორგანოა და ქვეყნისთვის სასიცოცხლო გადაწყვეტილებები უნდა მიიღოს.

– უშიშროების საბჭოსთან დაკავშირებით ზოგიერთი ექსპერტი ამბობს, რომ უშიშროების საბჭო არასამთავრობო ორგანიზაციად იყო გადაქცეული და ვერ ასრულებდა იმ ფუნქციას, თანაც, არის კიდევ მეორე უსაფრთხოების საბჭო.

– უსაფრთხოების საბჭო პრემიერის სათათბირო ორგანოა. ლაპარაკია იმ ინსტიტუციურ ორგანოზე, რომელთან დათათბირების შემდეგაც პრეზიდენტმა უნდა მიიღოს ორი შესაძლო უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება, რომელიც ერთ შემთხვევაში ეხება – საომარი, მეორე შემთხვევაში – საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებას. უშიშროების საბჭო არასამთავრობო ორგანიზაციად გადაიქცაო, ამგვარ განცხადებას ხელისუფლებასთან ახლოს მყოფი ექსპერტები აკეთებენ.

– მე რომელსაც ვგულისხმობ, ის ექსპერტი ხელისუფლებასთან დაახლოებული არ არის.

– მარგველაშვილი რომ ყოფილიყო „ქართული ოცნების“ მორჩილი პრეზიდენტი, ბუნებრივია, ამგვარი განცხადებები არ გაკეთდებოდა და უშიშროების საბჭოც იქნებოდა სრულიად დემოკრატიული ინსტიტუტი. ახალი კონსტიტუციით, უნდა შეიქმნას სამხედრო საბჭო, რომელიც იქნება პრემიერ-მინისტრის დაქვემდებარებაში. თუ შეიარაღებული თავდასხმა მოხდა, ამ სამხედრო საბჭომ უნდა შეატყობინოს პრემიერს, პრემიერმა წარდგენა უნდა გაუკეთოს პრეზიდენტს, პრეზიდენტმა უნდა გამოაცხადოს საომარი მდგომარეობა. ხვალ და ზეგ გასარჩევი რომ იყოს, პრეზიდენტმა რამდენად მართლზომიერად გამოაცხადა საომარი მდგომარეობა, ძაღლის თავი უნდა ვეძებოთ ყველგან. თუკი პრეზიდენტი დაიწყებს თავის მართლებას, რომ ეს მისი ბრალი კი არ იყო, არამედ პრემიერის წარდგენის შედეგი გახლდათ, პრემიერმა თავი უნდა იმართლოს, რომ ეს მისი კი არა, სამხედრო საბჭოს ბრალი იყო.

– პარლამენტმა ხომ უნდა დაამტკიცოს საომარი მდგომარეობის გამოცხადება?

– გასაგებია, მაგრამ მთავარია, ვინ აცხადებს საომარ მდგომარეობას. საომარ მდგომარეობას აცხადებს პრეზიდენტი, პრემიერის წარდგინებით, სამხედრო საბჭოზე დაყრდნობით. ჩვენ გვაქვს ძალიან სავალალო გამოცდილება აგვისტოს ომთან დაკავშირებით. პრეზიდენტმა სააკაშვილმა გამოაცხადა საომარი მდგომარეობა უშიშროების საბჭოზე დაყრდნობით იმგვარად, რომ (ტალიავინის კომისიის დასკვნაზე დაყრდნობით გეუბნებით) პარლამენტს არ გაუუქმებია სამშვიდობო ძალებისთვის მანდატი, რასაც ტალიავინის კომისია ძალიან სერიოზულ შეცდომად გვითვლის. შეცდომა ძალიან მსუბუქი ნათქვამია. სისხლის სამართლის საქმე რომ აღიძრას და ხვალ და ზეგ სააკაშვილი დაიკითხოს (მჯერა, სააკაშვილი ამ საქმეზე აუცილებლად დაიკითხება), უნდა გაირკვეს ის მდგომარეობა, ვინ არის პასუხისმგებელი ამგვარ ვითარებაში, პრეზიდენტი და უშიშროების საბჭო ხომ არა, რომელზე დაყრდნობითაც სააკაშვილმა მიიღო გადაწყვეტილება? წარმოიდგინეთ, 2008 წელს კონსტიტუციის ცვლილება ძალაში რომ ყოფილიყო შესული, სააკაშვილი გამოაცხადებდა საომარ მდგომარეობას ლადო გურგენიძის წარდგენის საფუძველზე, ხოლო ლადო გურგენიძე დაეყრდნობოდა ამ სამხედრო საბჭოს, რომელთანაც სააკაშვილს არავითარი შეხება არ ექნებოდა და პასუსისმგებლობასაც არ აიღებდა.

– ხალხის აღელვების მთავარი მიზეზი მიწის უცხოელებზე გაყიდვაა. „ახალ თაობას“ თქვენ მიაწოდეთ ინფორმაცია, რომ უცხოეთიდან ჩამოსულ ჯგუფებს ხვდებიან და ხელს უწყობენ ბინადრობასა და მიწისა შესყიდვაში. სააკაშვილის პირობებშიც და „ოცნების“ დროსაც გამოიკვეთა, რომ ქართული მიწები არ მუშავდება. თქვენ ამ სიტუაციიდან გამოსავლად რა მიგაჩნიათ?

– გამოსავალი ძალიან მარტივია. მიწა მხოლოდ საქართველოს მოქალაქეს, სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტს უნდა ეკუთვნოდეს. არის პრევენციული ღონისძიებებიც, რომლებსაც ევროპის კონტინენტზე ყველა სახელმწიფო მიმართავს. ეს არის იმატრიკულაცია. იმატრიკულაცია არის საგანგებო აქტი, რომლის საფუძველზეც ნებისმიერი ევროპის კავშირის წევრი სახელმწიფოს მოქალაქეს, რომელიც თავს თვლის იმის შემძლედ, რომ აწარმოოს აგრარული ბიზნესი ან შექმნას ფერმერული მეურნეობა, მიწას სამუდამო საკუთრებაში, უვადოდ არავინ მისცემს. მიწას მისცემენ მხოლოდ და მხოლოდ გამოსაცდელი ვადით, რომელიც არის 10-20 წელი.

– სხვა გზაც შეიძლება გამონახოს, ელემენტარულად, უცხოელი შეირთავს ქართველ ცოლს და ცოლის სახელით შეისყიდის მიწებს.

– ამიტომ მთელი პაკეტია მოსამზადებელი საკანონმდებლო ბაზის გამოსასწორებლად. ეს არის, მაგალითად, მოქალაქეობის შესახებ ორგანული კანონი. ძალიან უნდა გართულდეს საქართველოს მოქალაქეობის მიღება. ისე მარტივად, როგორც სააკაშვილმა 2012 წლის სექტემბერში მისცა მოქალაქეობა უცხოელებს, საქართველოს მოქალაქეობის მიღება არ უნდა ხდებოდეს.

სააკაშვილმა მხოლოდ ერთი კალენდარული თვის განმავლობაში 2.227 კაცი შემოიყვანა მოქალაქეობაში. ეს პრეზიდენტის პასუხისმგებლობაზე, კანონის უუნარობასა და შეზღუდულ შესაძლებლობებზე მეტყველებს. ჩვენ ვლაპარაკობთ მიწაზე, როგორც პრიორიტეტზე და როგორც სამკვიდრო ქართულ ქონებაზე. მიწის მფლობელები არიან ჩვენი გარდაცვლილი წინაპრებიც და ჩვენი მომავალი თაობებიც, რომლებიც ჯერ არ დაბადებულან. ეს არის განსაკუთრებული ღირებულებითი კატეგორია, ამავე დროს, მილევადი, ამოწურვადი რესურსი, ჩვენი შთამომავლობის ერთადერთი საკვები ბაზაა, რომლის გასხვისება არ შეიძლება. უცხოტომელები ყიდულობენ მიწას და აყალიბებენ სათემო საკუთრებას. სათემო საკუთრებაში უკვე სახელმწიფოს უჭირს რეგულაცია. ამიტომ მიწის საკითხი ეროვნული ინტერესის სფეროშია და არა – პოლიტიკურში. მიწის უცხოელებზე გაყიდვის დაშვება ნიშნავს იმას, რომ რასაც ჩვენი წინაპრები სისხლითა და ოფლით ინახავდნენ, ჩვენ კანონმდებლობით გავცემთ.

– მიწის გაყიდვასთან დაკავშირებით ევროპის ქვეყნებშიც ხომ არის შეზღუდვები?

– საქართველოში კანონისადმი დამოკიდებულება და ცოდნა სამართლის სფეროში ფართო მასებს არ გააჩნიათ, ამიტომ ჩვენ დაბრიყვებული სახელმწიფო ვართ. ჩვენგან ითხოვენ ისეთ რაღაცას, რასაც თავიანთ ქვეყნებში არ ახორციელებენ.

ჩვენ სხვა პრობლემებიც გვაქვს, რაც ოკუპირებულ ტერიტორიებს უკავშირდება. რუსები პირდაპირ მოთხოვნას უყენებენ აფხაზებს, რომ მიწა გაყიდონ. აფხაზები კი მიწას არ ყიდიან. თუ ჩვენი კონსტიტუცია პირდაპირ დააფიქსირებს, რომ მიწის განკარგვა მხოლოდ საქართველოს მოქალაქეების პრეროგატივაა, ეს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ჩარჩენილი ჩვენი მოქალაქეებისთვისაც ძალიან სერიოზული გზავნილია. 2010 წელს ამ საკითხზე პარლამენტში სრულიად მარტო ვიბრძოდი. 2017 წელს „დემოკრატიულმა მოძრაობამ“ სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიაში წარვადგინეთ პროექტი, ვიბრძოლეთ როგორც სამუშაო ჯგუფებში, ასევე საყოველთაო-სახალხო განხილვებში, განსხვავებით ზოგიერთი პოლიტიკური პარტიისაგან, რომლებიც დღეს გულზე მჯიღს ირტყამენ მიწასთან დაკავშირებით.

– შარჟა-თბილისის რეისით კიდევ ჩამოდიან უცხოელები 35 ათას დოლარად მიწების შესასყიდად თუ რაიმე შეიცვალა?

– ახლახან დამიკავშირდნენ საგარეჯოდან და მითხრა, რომ საგარეჯოში ყოველდღიურად, მასობრივად ხდება სახლებისა და მიწის შესყიდვა, მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები. საგარეჯოს სოფლებში პირდაპირ სახლდებიან არაბები თავიანთი ოჯახებით. ბინადრობის უფლება იყიდება 35 ათას დოლარად. ბინადრობის უფლება სჭირდება ადამიანს, რომელიც მოდის სასწავლებლად, იღებს ბინადრობის უფლებას და სწავლობს.

– 35 ათასი დოლარი ოფიციალური თანხაა?

– 35 ათასი დოლარის ქონების შეძენა ბინადრობის უფლების მიღების საფუძველია. 35 ათასი დოლარის საფასურის უძრავი ქონების შეძენის შემთხვევაში განიხილავენ ბინადრობის უფლების მიცემას. იძენს სახლ-კარს, მიწას, შემდგომ ინაცვლებს იმ სახნავ-სათეს ფართობზე, რომელსაც ფლობს ესა თუ ის ოჯახი. შესაბამისად, ხდება ტოტალური დაუფლება, შემდეგ იმ მიწების დაყოფა და ახალ-ახალი არაბების ჩამოსახლება.

„ლუჟკოვი საქართველოში, ალბათ, ვეღარასოდეს ჩამობრძანდება“

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებას, რომელიც საქართველოში მოსკოვის ყოფილი მერის ვიზიტს ეხება, თბილისში ეხმაურებიან. მმართველ გუნდში ლუჟკოვის პროვოკაციულ ქმედებებზე ამახვილებენ ყურადღებას.

ზვიად კვაჭანტირაძე ამბობს, რომ ლუჟკოვის ვიზიტი იყო პროვოკაციული და ის საქართველოში ვეღარ ჩამოვა.

მისი თქმით, ქართული მხარე რუსეთისა და მისი მოქალაქეებისგან კანონის პატივისცემას ითხოვს.

– ლუჟკოვის ბედ-იღბლით რომ დაინტერესდა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო, ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ლუჟკოვი არ იყო აქ ჩამობრძანებული, როგორც ჩვეულებრივი კერძო პირი. მისი ვიზიტი აშკარად ქმნიდა პროვოკაციულ ფონს. ჩვენ ვითხოვთ კანონის პატივისცემას და არა ისეთ განცხადებებს, როგორც ლუჟკოვმა განაცხადა, რომ „მე მესმის რომ დავარღვიე კანონი, მაგრამ ამისთვის მიმიფურთხებია“. ეს იყო, რა თქმა უნდა, აღმაშფოთებელი. ის საქართველოში, ალბათ, ვეღარასოდეს ჩამობრძანდება, – განაცხადა ზვიად კვაჭანტირაძემ.

ოკუპირებულ აფხაზეთსა და რუსეთს შორის ახალი შეთანხმება გაფორმდება

ოკუპირებულ აფხაზეთსა და რუსეთს შორის 18 მაისს სოჭში ხელი მოეწერება შინაგან საქმეთა ორგანოების ერთობლივი საინფორმაციო-საკოორდინაციო ცენტრის ფორმირების შესახებ შეთანხმებას. აფხაზეთის დე ფაქტო შსს-ს მიერ გავრცელებული განცხადების თანახმად, ამას ითვალისწინებს აფხაზეთსა და რუსეთის ფედერაციას შორის 2014 წლის 24 ნოემბერს ხელმოწერილი შეთანხმება სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ.

მათივე ცნობით, ცენტრი იქმნება აფხაზეთსა და რუსეთს შორის ორგანიზებული დანაშაულისა და სხვა საშიში დანაშაულების წინააღმდეგ კოორდინაციისთვის.

რომელია ქვეყნის ყველაზე გაჭირვებული რეგიონი?

საქართველოს ყველაზე ღარიბი რეგიონი რაჭა-ლეჩხუმია. იქ სოციალურ შემწეობას რეგიონის მოსახლეობის თითქმის 37%-ზე მეტი იღებს. ღარიბი მოსახლეობის სიმცირით კი სამცხე-ჯავახეთი გამოირჩევა, სადაც სოციალურ შემწეობას რეგიონის მოსახლეობის მხოლოდ 7,3% იღებს. რაჭის ანალოგიურად, მძიმე მდგომარეობაა სხვა რეგიონებშიც, რის მიზეზიც, ერთი მხრივ, ინვესტიციების სიმცირე და წარმოების დაბალი დონე, მეორე მხრივ კი შობადობის დაბალი მაჩვენებელი და ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის მიგრაციაა. მთლიანად ქვეყანაში კი ღარიბ-ღატაკთა რაოდენობა 27,4%-ს (1 მლნ 022 ათასი კაცი) შეადგენს. სწორედ მოსახლეობის ეს რაოდენობა თვლის, რომ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ იმყოფება და სახელმწიფოს შემწეობა სჭირდება.

საარსებო შემწეობას კი საქართველოს მასშტაბით 425 111 ადამიანი იღებს, რაც მთლიანი მოსახლეობის 11,4%-ს შეადგენს. სტატისტიკის სამსახურის მონაცემებით, ქვეყანაში სულ 3.718.200 ადამიანი ცხოვრობს.

„კომერსანტმა“ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მეთოდოლოგიითა და სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემების მიხედვით, საქართველოს რეგიონებში სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის პროცენტული მაჩვენებელი დათვალა. შედეგად აღმოჩნდა, რომ რეგიონი, სადაც გაჭირვებული მოსახლეობა პროცენტულად ჭარბობს, რაჭა-ლეჩხუმია. რეგიონში 31.000 ადამიანი ცხოვრობს. აქედან საარსებო შემწეობას 11.661 ადამიანი იღებს, რაც აღნიშნული რეგიონის მოსახლეობის 37,6%-ს უდრის.

აღნიშნული სტატისტიკური მონაცემების თანახმად, რეგიონები, სადაც საარსებო შემწეობის მომლოდინე მოსახლეობის წილი პროცენტულად მაღალია, არის შიდა ქართლი და მცხეთა-მთიანეთი. კერძოდ, შიდა ქართლში მცხოვრები 263.700 ადამიანიდან საარსებო შემწეობის იმედად 43.847 ადამიანი ანუ მოსახლეობის 16,6% რჩება, ხოლო მცხეთა-მთიანეთში 93.800 ადამიანიდან საარსებო შემწეობას 15.167 ადამიანი იღებს, რაც 16,1%-ს უდრის.

რეგიონები, სადაც საარსებო შემწეობის მიმღებთა მაჩვენებელი სხვა რეგიონებთან შედარებით, ასე თუ ისე საშუალოა, არის კახეთი, გურია, სამეგრელო-ზემო სვანეთი და იმერეთი. კახეთში სულ 317.500 ადამიანი ცხოვრობს და აქედან სახელმწიფო დახმარებით 49.255 სარგებლობს, რაც რეგიონის მთლიანი მოსახლეობის 15,5%-ია. გურიაში საარსებო შემწეობას 17.410 ადამიანი იღებს, რაც 15,4%-ს უდრის, რადგან აღნიშნულ რეგიონში მოსახლეობა 112.600-ს შეადგენს.

რაც შეეხება სამეგრელო-ზემო სვანეთს, აქ 328.300 ადამიანი ცხოვრობს. სახელმწიფო დახმარებას 45.812 ადამიანი საჭიროებს, რაც აღნიშნული რეგიონის მოსახლეობის 13,9%-ია. იმერეთში კი საარსებო შემწეობას რეგიონის 12,1% იღებს. აქ მოსახლეობის საერთო რაოდენობა 529.700-ია და აქედან 64.287-ს სახელმწიფო ეხმარება.

რეგიონები, სადაც პროცენტულად მოსახლეობა ყველაზე ნაკლებად საჭიროებს სახელმწიფო დახმარებას, არის ქვემო ქართლი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა და სამცხე-ჯავახეთი. აჭარაში მოსახლეობა 339.000-ია. აქედან საარსებო შემწეობას 36.427 ადამიანი იღებს, რაც აღნიშნული რეგიონის 10,7%-ს უდრის. ქვემო ქართლში საარსებო შემწეობით 39.308 ადამიანი სარგებლობს. აღსანიშნავია, რომ ამ რეგიონში 427.400 ადამიანი ცხოვრობს ანუ სახელმწიფო მხრიდან მზრუნველობას მოსახლეობის 9,1% საჭიროებს. სამცხე-ჯავახეთში კი 160.600 ადამიანიდან, შემწეობას 11.742 ადამიანი იღებს, ანუ რეგიონის მოსახლეობის 7,3%.

რაც შეეხება დედაქალაქს, თბილისში 1,114 მილიონი ადამიანი ცხოვრობს, საარსებო შემწეობას კი 90.195 იღებს ანუ 8%.

როგორც ეკონომისტი სოსო არჩვაძე „კომერსანტთან“ საუბრისას განმარტავს, აღნიშნულ მაჩვენებელს ყველა რეგიონში სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებს. რაჭაში ამის მიზეზი დემოგრაფიული მდგომარეობაა.

– ის ფაქტი, რომ რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში საარსებო შემწეობას პროცენტულად ყველაზე მეტი ადამიანი იღებს, ვიდრე სხვა რეგიონებში, მხოლოდ იმით არ აიხსნება, რომ რაჭაში ხალხს უჭირს. მსგავსი პროცენტული მაჩვენებელი მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურითაც არის გამოწვეული.

რაჭაში დიდი ხანია, რაც გარდაცვალების რაოდენობა შობადობის მაჩვენებელს ბევრად აღემატება. მოსახლეობის ძირითადი ნაწილი, რომელიც ამ რეგიონში დარჩა, სიბერის ასაკს არის მიახლოებული და მათ შემოსავლებში დიდი წილი საფინანსო სისტემიდან დახმარებას უკავია. ზოგადად, რაჭაში კომპლექსური პრობლემა დგას, რომელშიც სოციალურ-ეკონომიკურ-დემოგრაფიული ფაქტორებია ერთმანეთში გადახლართული.

არის მოსახლეობის ადგილზე დამკვიდრების პრობლემა, გადინება ძალიან დიდია, განსაკუთრებით შრომისუნარიანი ადამიანების და სწორედ ამიტომ არის, რომ ამ რეგიონში ახალგაზრდები ფაქტობრივად, არ ცხოვრობენ. რადგანაც არ არიან ახალგაზრდები, ბუნებრივია, შობადობაც ვერ იქნება, – განაცხადა არჩვაძემ.

კითხვაზე, საარსებო შემწეობის ზღვარი არის თუ არა საკმარისი იმისთვის, რომ რეგიონში შეჭირვებულად მცხოვრებმა მოსახლეობამ თავი გაიტანოს, სოსო არჩვაძე პასუხობს, რომ საკმარისი არ არის, თუმცა სახელმწიფოს ამ ეტაპზე მეტი რესურსი არ გააჩნია. ამასთან, მისივე განმარტებით, გავლენას ახდენს ეკონომიკური ფონიც – ის, რომ დასაქმებულთა ანაზღაურება დაბალია. სოციალური დახმარება კი დასაქმებულის ანაზღაურებასთან მიახლოებული არ უნდა იყოს.

რუსთავი 2-ის, მაესტროსა და იმედის ჩვენება ფასიანი ხდება



„გვსურს შეგატყობინოთ არასასიამოვნო სიახლე. რუსთავი 2, მაესტრო და იმედი აბონენტებისთვის საზიანოდ შეთანხმდნენ, რომ ფასიანი გახადონ მათი ჩვენება, რამაც შეიძლება გააძვიროს პაკეტის ღირებულება“, – ეს შეტყობინება „სილქნეტის“ ტელევიზიის – „სილქთივის“ მომხმარებლებმა უკვე მიიღეს.

ამ გადაწყვეტილების მიზეზი ის ინფორმაცია გახდა, რომლის მიხედვითაც საქართველოში მოქმედი 6 ტელეარხის რეტრანსლირების უფლება, შესაძლოა, ერთ კომპანიას მიენიჭოს. Media Rights Georgia ახლადშექმნილი კომპანიაა, რომელიც საქართველოში რამდენიმე კვირის წინ დარეგისტრირდა. MRG-მ უკვე მიმართა საკაბელო კომპანიებს წერილით, რომ 1-ლი ივნისიდან ტელეარხების: იმედი, რუსთავი 2, მაესტრო, GDS, კომედი არხი, მარაო – რეტრანსლირების უფლება მათ, შესაძლოა, შეუჩერდეთ, თუ ნებართვის მისაღებად MRG-ს არ მიმართავენ.

MRG-სგან წერილი საქართველოში მოქმედმა თითქმის ყველა საკაბელო ოპერატორმა მიიღო. საკაბელოთა ასოციაციამ კი განცხადებით საქართველოს ტელეკომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიას მიმართა. ასოციაციაში განმარტავენ, რომ 1 კომპანიის მიერ 6 არხის რეტრანსლირების ექსკლუზიური უფლება სააბონენტო გადასახადს გაზრდის, თავისუფალი კონკურენციის პირობებს კი შეზღუდავს. კომისიაში აცხადებენ, რომ ასოციაციის განცხადების შესწავლა უკვე დაიწყო.

„სილქნეტის“ გარდა, სხვა კომპანიებს ამის შესახებ ჯერ ოფიციალური ინფორმაცია არ გაუვრცელებიათ, თუმცა, გამორიცხული არ არის, რომ მსგავსი ინფორმაცია მათაც სულ მალე გაავრცელონ და უახლოეს პერიოდში იმედის, რუსთავი 2-ის, მაესტროს, GDS-ის, კომედი არხისა და მარაოს ყურება ფასიანი გახდეს.

რამდენი ლარით გაძვირდება საკაბელო ტელევიზიის აბონენტებისთვის გადასახადი, ჯერჯერობით უცნობია.

თემურ ჭყონია ღვინის ბიზნესში შესვლას აღარ გეგმავს

როგორც ბიზნესმენმა „კომერსანტთან“ საუბრისას განაცხადა, აღნიშნული გეგმის განხორციელება უახლოეს მომავალში აღარ იგეგმება.

– კონცენტრირებული ვარ იმ ბიზნესზე, რომელიც მაქვს. ღვინის თემა არ მაინტერესებს, – აცხადებს ჭყონია.

რა გახდა მისი მხრიდან აღნიშნულ ბიზნესზე უარის თქმის მიზეზი? ამაზე ბიზნესმენი არ საუბრობს.

შეგახსენებთ, ჭყონია 2016 წლის სექტემბერში „კომერსანტთან“ საუბრისას აცხადებდა, რომ ღვინის ბიზნესში შესვლით დაინტერესებული იყო და იმ პერიოდისთვის ის ბაზარს სწავლობდა.

– შესაძლებელია, ღვინის თემით ნამდვილად დავინტერესდე, თუმცა ჯერ გადაწყვეტილება არ მიმიღია. ამ დროისთვის ჩამოყალიბების პროცესში ვართ. ყოველმიზეზგარეშე, თუ ჩვენ თავად არ ჩავერთვებით ამ თემაში, ვინმესთან პარტნიორობას მაინც დავიწყებთ. შეიძლება ახალი არ დავიწყოთ, თუმცა ვინმესთან კოოპერაციაში შევალთ. რაღაცას შევთავაზებთ, ვიღაცას აუცილებლად დავჭირდებით, – აცხადებდა ჭყონია.

2015 წლის აპრილში ჭყონია ასევე „კომერსანტთან“ საუბრისას აცხადებდა, რომ ღვინის ბიზნესთან დაკავშირებით სერიოზული გეგმები ჰქონდა. მაშინ ჭყონია აცხადებდა, რომ უახლოეს მომავალში ექნებოდა საკუთარი ვენახები და წელიწადნახევარში სარეალიზაციო ქსელში იქნებოდა.

– ჩვენ გვაქვს უკვე დალაგებული გეგმები, ამ ბიზნესში აუცილებლად ჩავერევით. საინტერესო კონსულტანტები გვყავს. უცხოელი სპეციალისტები, რომლებიც კატეგორიულად გვთხოვენ ისეთი ღვინის პოპულარიზაციას, რომელიც საქართველოში წარმატებულია მაგალითად საფერავი. არაა საჭირო უცხოური სახელების და ჯიშები შემოღება, იმიტომ, რომ ქართული ღვინო განსაკუთრებული თვისებებით სარგებლობს იმ შემადგენლობით, რომელიც იყო ისტორიულად. ამიტომ არაა აუცილებელი ახლის მოგონება. ჩვენ გვექნება საკუთარი ვენახები და ქსელში ვიქნებით მაქსიმუმ წელიწად-ნახევარში, კომპანიის სახელწოდებაზე ვფიქრობთ, ძირითადად ადგილობრივი ჯიშის ღვინოები გვექნება. ინვესტიციის სავარაუდო მოცულობა კი 7,5 მილიონი ევროა, – აცხადებდა 2015 წელს ჭყონია.

ტყიბულისა და ჭიათურის მაღაროების შემოწმება ორი სამინისტროს ერთობლივი მონიტორინგის ჯგუფმა დაიწყო

16 მაისიდან ტყიბულისა და ჭიათურის მაღაროების შემოწმება ორი სამინისტროს – ეკონომიკისა და მდგრადი განვითარებისა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროების ერთობლივი მონიტორინგის ჯგუფმა დაიწყო.

როგორც „კომერსანტს“ ეკონომიკის სამინისტროდან აცნობეს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ ერთობლივი მონიტორინგის ჯგუფი 2017 წლის 11 მაისის ერთობლივი ბრძანების საფუძველზე შექმნეს. ჯგუფი ზედამხედველობას გაუწევს მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან, ასევე მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველ სამუშაო ადგილებს, რომლებიც მომეტებულ რისკს შეიცავს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის.

მონიტორინგის ჯგუფი ორივე უწყების შესაბამისი სფეროს წარმომადგენლებისგან შედგება – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის საგენტოსა და შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის თანამშრომლებისგან.

ბრძანება უკვე ამოქმედდა, 16 მაისიდან ორივე სამინისტროს წარმომადგენლებმა ტყიბულისა და ჭიათურის მაღაროების შემოწმება დაიწყეს.

აღნიშნული ადგილები ორმაგ შემოწმებას გაივლის: ჩაუტარდებათ როგორც ტექნიკური ინსპექტირება, ასევე ზედამხედველობა გაეწევა შრომის პირობებს და შეფასდება, რამდენად შეესაბამება ისინი კანონმდებლობით დადგენილ შრომისა და უსაფრთხოების მოთხოვნებს.

სურსათის ეროვნულმა სააგენტომ 34 ბიზნესოპერატორი დააჯარიმა

სურსათის ეროვნულმა სააგენტომ ერთი კვირის განმავლობაში 34 ბიზნესოპერატორი დააჯარიმა, 4 ბიზნესოპერატორს კი საწარმოო პროცესი და საქმიანობა შეუჩერა.

სურსათის ეროვნული სააგენტო გასული კვირის სახელმწიფო კონტროლის შედეგებს აქვეყნებს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ სურსათის ეროვნული სააგენტოდან აცნობეს, სააგენტომ გასულ კვირას (8-14 მაისი) თბილისსა და საქართველოს რეგიონებში 109 ინსპექტირება ჩაატარა.

ზედამხედველობა განხორციელდა 9 ბიზნესოპერატორთან, დოკუმენტურად შემოწმდა 216, ლაბორატორიული კვლევისთვის აღებულია სურსათის 40 ნიმუში.

– გამოვლენილი შეუსაბამობებისათვის დაჯარიმდა 34 ბიზნესოპერატორი. კრიტიკული შეუსაბამობების გამო საწარმოო პროცესი და საქმიანობა 4 ბიზნესოპერატორს შეუჩერდა. სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლი მთელი ქვეყნის მასშტაბით მიმდინარეობს. სურსათის ეროვნული სააგენტო შედეგებს საზოგადოებას პერიოდულად მიაწვდის, – აცხადებენ სააგენტოში.

სეს
სურსათის ეროვნული სააგენტო

ლაშა თორდიას დაკითხვა დასრულდა

ლაშა თორდია გუშინ დაკითხეს. როგორც გამომძიებელმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, ლაშა თორდიამ ისაუბრა როგორც მომხდარ ფაქტზე, ასევე გამოძიებისთვის მნიშვნელოვან დეტალებზე.

რაც შეეხება საქმის კვალიფიკაციის შეცვლას, პროკურორის თქმით, ამ ეტაპზე, სანამ გამოძიება არ დასრულდება, კვალიფიკაციის შეცვლაზე კომენტარს ვერ გააკეთებს.

ლაშა თორდიასა და ყოფილ მთავარ პროკურორ ოთარ ფარცხალაძეს შორის რამდენიმე დღის წინ დაპირისპირება მოხდა, რის შემდეგაც სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელი სხვადასხვა დაზიანებით საავადმყოფოში გადაიყვანეს. ლაშა თორდია საავადმყოფოდან გუშინწინ გაწერეს.

ლაშა თორდია: „სიმართლე ჩემ მხარეს არის“

ოთარ ფარცხალაძის ადვოკატების მიერ გამართულ პრესკონფერენციას ლაშა თორდია ეხმაურება. სახელმწიფო აუდიტის ხელმძღვანელმა ფარცხალაძის ადვოკატები სიცრუეში დააადანაშაულა:

– სიმართლე არის ჩემ მხარეს, ვლაპარაკობ იმას, რაც იმ დღეს მოხდა. მეოთხე თუ მეხუთე დღეა, კამერა ვერ ამოიღეს, რომ დადონ და გამაჩუმონ, თუ გასაჩუმებელი ვარ და ბრალდებებს ვუყენებ. ასე გამოდიან და საუბრობენ რაღაც საოცრებებს, აი ლაშა თორდიამ 30 წამი როგორ შეიძლება ამას ინციდენტი შეიძლება დავარქვათ, რატომ არ გამოიძახა პატრული და ჩემ მხარეს არის ახლა გამოშვერილი ეს ისრები, რომ თითქოს მე რაღაც როგორ არ განვახორციელე, – აღნიშნა თორდიამ.

შეგახსენებთ, რომ ლაშა თორდიას სიცრუეში ადანაშაულებს ფარცხალაძის ადვოკატი. მერაბ ჩიქოვანმა, მათ მიერ მოპოვებული მტკიცებულებების შესახებ ისაუბრა და განმარტა, რომ სახელმწიფო აუდიტის ხელმძღვანელის მიერ გავრცელებული ინფორმაცია მცდარია.

გაგუას კლინიკაში გარდაცვლილი ქალის ოჯახმა ჯანდაცვის სამინისტროს რეგულირების სააგენტოს საჩივრით მიმართა

გაგუას კლინიკაში გარდაცვლილი მელოგინის ოჯახმა ჯანდაცვის სამინისტროს რეგულირების სააგენტოს საჩივრით მიმართა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში განუცხადეს, წესების თანახმად, ამჟამად დაზუსტების პროცედურები მიმდინარეობს, ნამდვილად კანონიერი წარმომადგენლის მიერ არის თუ არა საჩივარი შეტანილი.

პარალელურად, რეგულირების სააგენტოს წარმომადგენლები გაგუას კლინიკაში მუშაობენ. ასევე სამინისტროს ინფორმაციით, უახლოეს დღეებში მზად იქნება სამხარაულის ექსპერტიზის დასკვნა გაკვეთის შედეგის შესახებ.

– აღნიშნული პროცედურების შემდეგ, საქმე რეცენზიაზე წავა და მას კომისია განიხილავს, – განმარტავენ ჯანდაცვის სამინისტროში.

გაგუას კლინიკაში ახალგაზრდა ქალი პირველ მაისს გარდაიცვალა. მან 30 აპრილს იმშობიარა, პირველ მაისს კი კლინიკაში დაიღუპა. ჯანდაცვის სამინისტროს რეგულირების სააგენტომ კლინიკიდან შესული შეტყობინების საფუძველზე მოკვლევა დაიწყო. ოჯახმა სააგენტოში საჩივარი 8 მაისს შეიტანა.

მომხდართან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება 116-ე მუხლით დაიწყო, რაც სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობას გულისხმობს.

19.996 ლარის საქონელი პირს ელექტრონული ზედნადების გარეშე გადაჰქონდა

19.996 ლარის საქონელი პირს ელექტრონული ზედნადების გარეშე გადაჰქონდა. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტიდან აცნობეს.

უწყების ინფორმაციით, 8 მაისს, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის მონიტორინგის სამმართველოს დასავლეთის განყოფილების ოფიცრის მიერ, ქვეყნის მასშტაბით განხორციელებული სასაქონლო ზედნადებების მონიტორინგის მიზნით, გატარებული ღონისძიებების შედეგად, სამეწარმეო საქმიანობისთვის განკუთვნილი საქონლის სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირების ფაქტი გამოვლინდა.

ექსპერტიზის დასკვნით, სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირებული საქონლის საბაზრო-საორიენტაციო ღირებულებამ 19.996 ლარი შეადგინა.

საქმის მასალები, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 271-ე მუხლის მე-7 ნაწილის შესაბამისად, შემდგომი რეაგირების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაეცა.

ადვოკატები: „ლაშა თორდიამ თვითდაზიანება მიიყენა“

ოთარ ფარცხალაძის ადვოკატები გამოძიებისგან ობიექტურობას მოითხოვენ. როგორც ადვოკატებმა აღნიშნეს, მოპოვებულ მასალებს და მტკიცებულებებს ისინი საგამოძიებო ორგანოებს მიაწვდიან და ითხოვენ, რომ ეს მასალები გამოძიებამ გაითვალისწინოს.

როგორც ფარცხალაძის ადვოკატმა, გაგი მოსიაშვილმა აღნიშნა, მათ ასევე გამოთხოვილი აქვთ კამერების ჩანაწერები კაფე „ელ ცენტროდან“, რისი მიღების შემთხვევაშიც საზოგადოება აუცილებლად იხილავს ამ ჩანაწერებს და გაიგებს სიმართლეს.

– ჩვენ არ ვიცით, არის თუ არა მოხვედრილი ინციდენტი კამერების თვალთახედვის არეში, თუმცა გამოკითხული პირებისგან ვიცით, რომ იმ ტერიტორიაზე კამერები დამონტაჟებულია.

ჩვენ მიერ გამოკითხული არიან ინციდენტის თვითმხილველები, ადამიანები ვინც იქ მუშაობენ, მაგრამ მათ ვინაობას ამ ეტაპზე ვერ დავასახელებთ, ვინაიდან არ გვინდა მათზე რაიმე არასამართლებრივი ქმედება განხორციელდეს, – განაცხადა გაგი მოსიაშვილმა.

ყოფილი მთავარი პროკურორის, ოთარ ფარცხალაძის ადვოკატები არ გამორიცხავენ, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უფროსმა ლაშა თორდიამ დაზიანებები თავად მიიყენა.

„გამორიცხული არაფერია“, – ასე უპასუხა ფარცხალაძის ადვოკატმა გაგი მოსიაშვილმა ჟურნალისტების შესაბამის შეკითხვას.

მისივე თქმით, თავად გამოჰკითხეს კაფე „ელ ცენტროს“ დაცვის თანამშრომლები, რომელთა თქმითაც, ინციდენტი არ იყო ისეთი მასშტაბის, რომ მასში ჩარეულიყვნენ.

– იყო მცირე ჩოჩქოლი. დაცვამ აღნიშნა, რომ დაახლოებით 5 მეტრის დაშორებით იყვნენ ამ ინციდენტიდან. დასტურდება ჩვენი მტკიცებულებებით, რომ ოთარ ფარცხალაძეს ამ ინციდენტში მონაწილეობა არ მიუღია და თორდიას მხრიდან წამოსული აგრესია განეიტრალდა ფარცხალაძის პირადი დაცვის მიერ. ეს იყო წამიერი ჩოჩქოლი, – განაცხადა გაგი მოსიაშვილმა.

ადვოკატის თქმით, თორდიამ ოთარ ფარცხალაძეს მისალმების ფორმა დაუწუნა.

რატომ აიყვანა ფარცხალაძემ ადვოკატები?

– რადგან ფარცხალაძემ ადვოკატები აიყვანა, სავარაუდოდ, ფიქრობს, რომ მის წინააღმდეგ მტკიცებულებები არსებობს, – აცხადებს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ადვოკატი გოგა ხატიაშვილი „პირველ რადიოსთან“ საუბრისას.

ხატიაშვილის განცხადებით, რადგანაც საქმეზე მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი არსებობს, ჯობდა შესაბამის უწყებებს გამოძიების შუალედური შედეგები გამოექვეყნებინა.

– მას აქვს ადვოკატის აყვანის უფლება, მაგრამ რადგანაც მან ადვოკატი აიყვანა, შეგვიძლია, ვიფიქროთ, რომ ის თვლის, რომ შესაძლოა, რაღაც გარემოებები მის წინააღმდეგ მიუთითებდეს და არსებობდეს მტკიცებულებები. იმიტომაც აიყვანა ადვოკატები, რომ ფიქრობს მას სჭირდება თავის დაცვა.

ამას კანონი არ უკრძალავს, მაგრამ აქ ყველაზე მთავარი დეტალია, რომ ფარცხალაძე ეჭვობს იმასაც, თითქოს მის წინააღმდეგ, შესაძლოა, გარკვეული პროცესები დაიწყოს.

საზოგადოების მაღალი ინტერესიდან გამომდინარე, ჯობდა, შესაბამის საგამოძიებო ორგანოებს გამოექვეყნებინათ ინფორმაცია და ის შუალედური შედეგები, რომლებიც აქვთ მოპოვებული – ვინ დაკითხეს და რა შედეგი დადგა. როგორც ჩანს, მხოლოდ ადვოკატების მხრიდან ცალმხრივად მიეწოდება საზოგადოებას ინფორმაცია, საგამოძიებო ორგანოები დუმან ამ საკითხზე და დღემდე არ ასაჯაროებენ ინფორმაციას, – აცხადებს ხატიაშვილი „პირველ რადიოსთან“.

ანა მარგველაშვილი: „ძალიან მეშინია, რომ ჩემს სიძესთან დაკავშირებითაც იგივე არ მოხდეს“

– ძალიან მეშინია, რომ ჩემს სიძეზეც, მინდიაზეც იგივე არ მოხდეს.

ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის ქალიშვილმა ანა მარგველაშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, რითაც მისი მეგობრის, თორნიკე კაჭარავას დაკავებაზე ისაუბრა.

ანა მარგველაშვილი დარწმუნებულია, რომ თორნიკე კაჭარავას ნარკოტიკი სამართალდამცავებმა ჩაუდეს.

– თორნიკე კაჭარავამ ნარკოტიკი საიდან ამოიღეს, ეგეც არ იცის. არაფერი არ იცის საერთოდ. არანაირ წინააღმდეგობას არ უწევდა პოლიციას არასდროს და ასეთი შემთხვევაც არც ჰქონია არასდროს. ფეხსაცმელი გახადეს, ბამბები ჩაუდეს, რომ დნმ-ს გიღებთო. ცემით არ უცემიათ, ხელი გაარტყეს. ძალიან მეშინია ჩემს სიძეზეც, მინდიაზეც იგივე არ მოხდეს, რომ იგივე სცენარი არ განმეორდეს, – განაცხადა ანა მარგველაშვილმა.

საქართველოს პრეზიდენტის შვილის მეგობარი თორნიკე კაჭარავა სამართალდამცველებმა დააკავეს. მისთვის ბრალი ამ დრომდე არ წარუდგენიათ.

სუს-ის ანტიკორუფციულმა სააგენტომ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე ერთი პირი დააკავა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის მოთხოვნისა და აღების ფაქტზე გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების დაგეგმვისა და სტატისტიკის განყოფილების მთავარი სპეციალისტი გიორგი მათიაშვილი დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ გიორგი მათიაშვილმა გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ახაშენში მდებარე ყოფილი ბიოლაბორატორიის შენობის რეალურ ფასზე ნაკლებ თანხად შეფასების, შემდგომში აუქციონზე გატანისა და გამარჯვებაში დახმარების სანაცვლოდ მოქალაქეს ქრთამის სახით მოსთხოვა 35 000 ლარი, საიდანაც 5000 ლარი წინასწარ აიღო.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა გიორგი მათიაშვილი თანხის გადაცემის დროს ბრალდებულის სახით დააკავეს, ხოლო გადაცემული თანხა 5.000 ლარი ნივთმტკიცებად ამოიღეს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის მოთხოვნისა და აღების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით 11-დან 15 წლამდე). გამოძიებას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო აწარმოებს.

ერთ კვირაში საგადასახადო სამართალდარღვევის 483 ფაქტი გამოვლინდა

8-14 მაისს საგადასახადო სამართალდარღვევის 483 ფაქტი გამოვლინდა. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტიდან აცნობეს.

უწყების ინფორმაციით, ქვეყნის მასშტაბით განხორციელებული მიმდინარე კონტროლის ღონისძიების შედეგად საგადასახადო სამართალდარღვევის 483 ფაქტი გამოვლინდა. კერძოდ, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის ოფიცრების მიერ შემოწმდა 5,798 გადამხდელი, რის შედეგადაც დაფიქსირდა შემდეგი საგადასახადო სამართალდარღვევები: საქონლის სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირების 43 ფაქტი; ეკონომიკური საქმიანობის გადასახადის გადამხდელად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით განხორციელების 38 შემთხვევა; მომხმარებელთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას საკონტროლო-სალარო აპარატის გამოუყენებლობის 402 ფაქტი.

ტრამპი საუდის არაბეთს ეწვევა

აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი ახლო აღმოსავლეთში ცხრადღიან ტურნეს იწყებს.

პირველი ქვეყანა, რომელსაც აშშ-ის პრეზიდენტი ეწვევა, საუდის არაბეთია. დაგეგმილია შეხვედრა საუდის არაბეთის მეფე სალმანთან.

მოლაპარაკებების ძირითადი თემა აშშ-საუდის არაბეთს შორის ურთიერთობების გაღრმავება იქნება.

ემანუელ მაკრონი ანგელა მერკელს შეხვდა

საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი ბერლინში ჩავიდა. ეს პრეზიდენტის რანგში მისი პირველი საზღვარგარეთული ვიზიტია. მაკრონი გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელს ესაუბრა.

საუბრის ძირითადი თემები გერმანია-საფრანგეთის ურთიერთობები, აგრეთვე ევროკავშირში შექმნილი მდგომარეობა იყო.

მაკრონმა განაცხადა, რომ ევროკავშირს საკმაო პრობლემები დაუგროვდა, თუმცა ძლიერი გერმანია და ძლიერი საფრანგეთი არის გარანტი იმისა, რომ ეს პრობლემები დაძლეული იქნება.

მერკელმა თავის მხრივ განაცხადა, რომ დადგა დრო, რათა ევროკავშირში შემავალი ქვეყნები უფრო გაღრმავებულ ინტეგრაციაზე გადავიდნენ. საუბარი ისეთ ქვეყნებსაც შეეხო, როგორებიცა იტალია, საბერძნეთი, პორტუგალია.

რუსმა დიპლომატმა ქალი მოკლა

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელმა შილინმა ქალი მოკლა.

შილინთან სტუმრად მისი მეგობარი ქალი მივიდა. მას თან პატარა გოგონა, ამ ქალის შვილი ახლდა. როგორც ჩანს, საუბრისას კონფლიქტი მოხდა, რადგანაც შილინმა თოფი გადმოიღო, ჯერ ქალი მოკლა, შემდეგ მისი შვილი, ბოლოს კი ტყვია თავად დაიხალა.

შილინი ინდონეზიაში რუსეთის ყოფილი ელჩია.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ნანტერის უნივერსიტეტმა ემანუელ მაკრონის სტუდენტობის ფოტოები გამოაქვეყნა

საფრანგეთის ახალი პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი 1999-2001 წლებში ნანტერის უნივერსიტეტში სწავლობდა ფილოსოფიას.

ამ უნივერსიტეტმა მაკრონის ახალგაზრდობის ფოტოები გამოაქვეყნა, რომელშიც ემანუელი 23-24 წლის არის.

მაკრონი ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული სტუდენტი იყო და გამჭრიახობით გამოირჩეოდა.

ნანტერის უნივერსიტეტი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილია საფრანგეთში და თავის დროზე იქ ბევრი ცნობილი ადამიანი სწავლობდა, მათ შორის ნიკოლა სარკოზიც. ნანტერის უნივერსიტეტმა მაკრონს გაპრეზიდენტება ერთ-ერთმა პირველმა მიულოცა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

შეტაკებები ვენესუელაში

ვენესუელაში გრძელდება საპროტესტო გამოსვლები პრეზიდენტ მადუროს წინააღმდეგ.

ქალაქ ვალენსიასთან მანიფესტანტებმა ტრასა გადაკეტეს. პოლიციამ ტრასის განბლოკვა ცადა. შედეგად მოხდა შეტაკება. ძალოვნებმა რეზინის ხელკეტები და ცრემლმდენი გაზი გამოიყენეს. მანიფესტანტებს შორის ბევრი დაზიანებულია.

საფრანგეთს ახალი პრემიერი ჰყავს

პრეზიდენტმა მაკრონმა პრემიერის კანდიდატურა შეარჩია. ამ პოსტს მემარჯვენე ცენტრისტი ედუარ ფილიპი დაიკავებს.

საფრანგეთის ახალი პრემიერ-მინისტრი რესპუბლიკური პარტიის ზომიერ ფრთას განეკუთვნება. ის ქალაქ ჰავრის მერია.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

როგორ გამოეპარა თბილისს იური ლუჟკოვის აფხაზეთში ყოფნა

აზერბაიჯანულ გამოცემა „კასპიის“ მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში გადმოცემულია საქართველოში იური ლუჟკოვის ყოფნის ფაქტი და მასთან დაკავშირებული მოვლენები – ქართველი ოფიციალური პირების განცხადებები, საზოგადოების რეაქცია და პოლიტოლოგთა კომენტარები (ავტორი – რაუფ ორუჯევი).

საინფორმაციო სააგენტო ნიუსპრესი გთავაზობთ მასალის ქართულენოვან ვერსიას მცირე შემოკლებით:

როგორც პუბლიკაციაშია აღნიშნული, საქართველოში ტურისტული მიზნებით მოსკოვის ყოფილი მერის იური ლუჟკოვის ყოფნამ ხმაურიანი პოლიტიკური სკანდალი გამოიწვია. საქმე იმაშია, რომ მან დაარღვია საქართველოს კანონი „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ – მოსკოვის ექსმერი ბევრჯერ არის ნამყოფი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, თანაც საქართველოს ხელისუფლების ნებართვის გარეშე, რაც, კანონის თანახმად, სისხლისსამართლებრივ და ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს. იური ლუჟკოვის პასუხისმგებლობის საკითხი დღის წესრიგში გასულ კვირას ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის პარტიამ დასვა, რომელმაც ხელისუფლება და მმართველი პარტია „მოსკოვის წინაშე მონურ მორჩილების გამოვლენაში“ დაადანაშაულა.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიერ დაწყებული სკანდალის შემდეგ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო იძულებული გახდა, რომ მოსკოვის ყოფილი მერი „შავ სიაში“, ანუ იმ პირების ჩამონათვალში შეეტანა, რომლებსაც საქართველოში შესვლა და ყოფნა აკრძალული აქვთ, – აღნიშნულია სტატიაში. იქვე ავტორი მკითხველს იური ლუჟკოვის რეაქციასაც აცნობს: „საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილება არაგონივრული და გაუგებარია“.

პუბლიკაციაში განსაკუთრებულად ხაზგასმულია მოსკოვის ექსმერის განცხადება, რომელიც აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს ეხება:

– ვფიქრობ, საქართველოსთვის უკეთესი იქნება, თუ ის ამ რეგიონებისაგან გათავისუფლდება.

გასაკვირი არაა, რომ იური ლუჟკოვის მიერ წარმოთქმული ეს სიტყვები ქართულმა საზოგადოებამ შეურაცხყოფად აღიქვა. ხელისუფლებამ სიტუაცია ისე წარმოადგინა, თითქოსდა არავინ არაფერი იცოდა ექსმერის საქართველოში შესვლაზე. არადა, როგორ შეიძლებოდა, დღემდე „შავ სიაში“ არ ყოფილიყო შეტანილი მოსკოვის ექსმერი, ყველასათვის ცნობილი პოლიტიკოსი, რომელიც არაერთხელ იყო შემჩნეული ოკუპირებული ტერიტორიების კანონის დარღვევაში, აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში ყოფნით?

საქართველოს პოლიციამ განმარტა, რომ ბოლო დროს იური ლუჟკოვი აფხაზეთში 2010 წელს იყო, სამხრეთ ოსეთში კი – 2009 წელს და, რადგანაც ამ დარღვევაზე „ხანდაზმულობის ვადა“, კანონის მიხედვით, 6 წელია, მას პასუხი აღარ მოეთხოვება. რა „ხანდაზმულობაზე“ საუბრობს საქართველოს ოფიციალური უწყება მაშინ, როცა იური ლუჟკოვი ადმინისტრაციულად კი არა, სისხლისსამართლებრივად უნდა დაისაჯოს? საკვირველია, განა ქართველი მესაზღვრე ოფიცრები საქმის კურსში არ იყვნენ, რომ ეს კაცი არაერთხელ იყო ოკუპირებულ რეგიონებში?

ნიუსპრესი

განცხადებები

გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

მკურნალობა

● ალკოჰოლიზმი, „პაჰმელია“, „ზაპოი“, ალკოჰოლიზმისაგან გამოწვეული ნევროზი, უძილობა, აგრესიულობა, ღვიძლის პრობლემების მოწესრიგება – მცენარეული, შედეგიანი, მეტეხისა და ბეთლემის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში.სიგარეტის მიტოვება მცენარეული, უსაფრთხო გარანტირებული პრეპარატით. უკუჩვენება გამორიცხულია. ტელ: 599-45-88-66; 555-45-13-45.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემები – გასტრიტი, კუჭის წვენის დაბალი და მაღალი მჟავიანობა, კუჭშეკრულობა, კუჭაშლილობა და ა.შ. ნერვული სისტემის, სახსრების, პოტენციის და კანის სხვადასხვა პრობლემების მოწესრიგება. ბეთლემისა და მეტეხის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები უსაფრთხოა. ტელ:558-34-36-24.

● სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

ლევან ყენია ლოკომოტივში დაბრუნდა

მიხეილ მესხის სტადიონზე საფეხბურთო კლუბ ლოკომოტივის ხელმძღვანელობამ გულშემატკივრებსა და მასმედიას ახალი ფეხბურთელი ლევან ყენია წარუდგინა. საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრმა რკინიგზელებთან წელიწადნახევრიანი კონტრაქტი გააფორმა.

ყენიას ამ დროისთვის ტრავმა აქვს და სარეაბილიტაციო კურსს გადის. როდის დაბრუნდება ფეხბურთელი მოედანზე, უცნობია.

ყენია 10 წლის წინ გელზენკირხენის შალკეში სწორედ ლოკომოტივიდან გადავიდა. გერმანულ კლუბში მან 2012 წლამდე ითამაშა, იმავე წლის აგვისტოში კარიერა ლვოვის კარპატში გააგრძელა.

2013 წელს ყენია გერმანიაში დაბრუნდა, დიუსელდორფის ფორტუნაში, სადაც ერთი წელი ითამაშა.

უკანასკნელად 26 წლის ნახევარმცველი პრაღის სლავიაში თამაშობდა. ჩეხური კლუბის შემადგენლობაში მან 31 მატჩი ჩაატარა და 3 გოლი გაიტანა.

ცირეკიძეს რუსეთში გადახალისებული შემადგენლობა მიჰყავს

20-21 მაისს რუსეთის ქალაქ ეკატერინბურგში ძიუდოს გრან სლემი გაიმართება. საქართველოს სახელით წინასწარი შემადგენლობის მიხედვით 12 სპორტსმენი იასპარეზებს. თუმცა, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ რუსეთში ჩვენი ნაკრები უძლიერესი შემადგენლობით ნამდვილად არ მიდის.

ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ირაკლი ცირეკიძემ რუსეთში გასამართი გრან სლემისთვის გადახალისებული შემადგენლობა დაასახელა, რომელიც ასე გამოიყურება:

ამირან პაპინაშვილი, ლუხუმ ჩხვიმიანი (60 კგ), ლაშა გიუნაშვილი, ბაგრატ ნინიაშვილი (66), ზებედა რეხვიაშვილი, თამაზ კირაკოზაშვილი (81), უშანგი მარგიანი, ნიკა სიდამონიძე (90), ვარლამ ლიპარტელიანი, გიორგი პარკატი (100), ლევან მატიაშვილი, ონისე ბუღაძე (+100).

იუვენტუსი რაფინიას შეძენას შეეცდება

ტურინის იუვენტუსი ბარსელონის ბრაზილიელ ნახევარმცველ რაფინია ალკანტარათი დაინტერესდა.

ბარსელონა მზად არის, რაფინიას 25 მილიონ ევროდ შეელიოს და იუვენტუსი ამ თანხის გადახდას აპირებს.

თვითონ რაფინიამ ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ ბარსელონაში სურს დარჩენა, მაგრამ, როგორც ჩანს, ასე არ მოხდება.

რაფინია წლევანდელ სეზონში არცთუ ხშირად ხვდებოდა ბარსელონის ძირითად შემადგენლობაში და მისი წასვლა არავის გაუკვირდება.

რაფინია თავის ძმასთან, ტიაგოსთან ერთად, ბარსელონის სკოლის აღზრდილია.

მოამზადა ბექა ვოგინაშვილმა

შედეგები

15 მაისი

ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა

ჩელსი-უოტფორდი 4:3

საატენიო ცხრილი:

1.ჩელსი	37	29	3	5	80-32	90
2.ტოტენჰემი	36	24	8	4	73-24	80
3.ლივერპული	37	21	10	6	75-42	73
4.სიტი	36	21	9	6	72-38	72
5.არსენალი	36	21	6	9	72-43	69
6.მანჩესტერი	36	17	14	5	52-29	65
7.ევერტონი	37	17	10	10	61-41	61
8.ვესტ ბრომვიჩი	36	12	9	15	41-46	45
9.საუთჰემპტონი	36	12	9	15	41-47	45
10.ბორნმუთი	37	12	9	16	54-66	45
11.ლესტერი	36	12	7	17	46-56	43
12.ვესტ ჰემი	37	11	9	17	45-63	42
13.კრ.პალასი	37	12	5	20	50-61	41
14.სტოკი	37	10	11	16	40-56	41
15.ბარნლი	37	11	7	19	38-53	40
16.უოტფორდი	37	11	7	19	40-63	40
17.სუონსი	37	11	5	21	43-69	38
18.ჰალი	37	9	7	21	36-73	34
19.მიდლსბრო	37	5	13	19	27-50	28
20.სანდერლენდი	36	6	6	24	28-62	24

პოჩტუგალია. პრიმეირა ლიგა

სეტუბალი-ბოავიშტა 0:1

თურქეთი. სუპერლიგა

ბურსა-ბეშიქთაში 0:2

შვედეთი. ალსვენსკა

დიურგარდენი-გიოტებორგი 1:0

მოამზადა მიხეილ ყორჟოლიანმა

ზაზა ფაჩულია: „არ მაინტერესებს, რას ამბობენ, კავაი არ დამიმტვრევია“

გოლდენ სტეიტ უორიორზისა და სან ანტონიო სფურზის პლეი ოფის კონფერენციის ფინალის პირველი მატჩის მესამე პერიოდში ზაზა ფაჩულიასთან შეხებისას ტერფის ტრავმა გაირთულა სანანტონიოელთა ლიდერმა კავაი ლეონარდმა, რის გამოც ასპარეზობის გაგრძელება ვეღარ მოახერხა.

ასოციაციამ მომხდარი რიგით სათამაშო ეპიზოდად მიიჩნია და არათუ ზაზა ფაჩულიას დასჯას, საკითხის განხილვასაც არ აპირებს.

ცხადია, ყველა ქართველი ცენტრის კომენტარის მოლოდინში გახლდათ და ფაჩულიამაც ვრცლად ისაუბრა ჟურნალისტებთან

– გრეგ პოპოვიჩის მოსაზრებებს უკვე გაეცანით. მას რას უპასუხებდით?

– განსაკუთრებულ არაფერს. პოპოვიჩსა და მთლიანად მათ ორგანიზაციას დიდ პატივს ვცემ. სხვა არაფრის თქმა არ მსურს.

– კავაისთან დაკავშირებულ ეპიზოდზე რას ფიქრობთ?

– ის საოცარი მსროლელია. იმ ეპიზოდში დიურანტს ტანი კარგად ჩაუყენეს და ვალდებული ვიყავი, კევინი დამეზღვია. უბრალოდ, ვცდილობდი, მეტოქისთვის ზუსტი სროლის განხორციელებაში ხელი შემეშალა.

– არ გაწუხებთ, რომ პოპოვიჩმა თქვენს საქციელს არასპორტული უწოდა?

– არა და ამის თაობაზე მინდა ბოლო განცხადება გავაკეთო – ისე მოვიქეცი, როგორც უნდა მოვქცეულიყავი. ჩემი მხრიდან ეს სწორი დაცვა გახლდათ, რადგანაც კავაისთვის დისკომფორტი უნდა შემექმნა. ვწუხვარ, რომ ის ჩემს ფეხზე დაეშვა და მართალი გითხრათ, წარმოდგენაც არ მქონდა, რომ ეს მოხდა. ლეონარდმა ისროლა და მაშინვე მოვტრიალდი, რადგან მოხსნისთვის ბრძოლას ვაპირებდი – მინდოდა დამენახა, ბურთი საით გადავარდებოდა. სწორედ ამ დროს სასტვენი გავიგე და გაოცებისგან სირბილი დავიწყე, რადგანაც ვიცოდი, რომ წესი არ დამირღვევია.

შემდეგ კავაიც დავინახე პარკეტზე და ფეხს იტკიებდა. სწორედ მაშინ მივხვდი, რომ მან დაშვებისას ფეხი გადაიბრუნა. თავს მართლაც ცუდად ვგრძნობ, რომ ასე მოხდა. მისთვის ტრავმის მიყენება ნამდვილად არ მინდოდა, თუმცა, ეს თამაშია, სადაც ყველაფრის გათვლა შეუძლებელია.

კავაის დიდ პატივს ვცემ. ის ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო კალათბურთელია და მხოლოდ საუკეთესოს ვუსურვებ. კარგი იქნება, თუკი მალე დაბრუნდება და ყველანი ერთად წინ ვიმოძრავებთ. კალათბურთი ასეთი სპორტია. პარკეტზე ზოგჯერ გიჟური ამბები ხდება. ტრავმა მეც არაერთხელ მიმიღია. როდესაც ასეთ ფიზიკურ თამაშში ერთვები, ყველაფერს უნდა ელოდო.

– არ გაგიკვირდათ, როდესაც პოპოვიჩმა წარსულის ინციდენტები გაიხსენა და დევიდ ვესტთან შეხლაც ახსენა, რომელიც ახლა თქვენი თანაგუნდელია?

– ამას მნიშვნელობას არ ვანიჭებ და არც მაღელვებს.

– თქვენს რეპუტაციაზე არ ღელავთ?

– არა. ვაპირებ, თამაში ისეთივე სტილში გავაგრძელო, როგორც აქამდე.

– შესაძლო დისკვალიფიკაციაზე ან რაიმე ამგვარზე არ ფიქრობთ?

– ეს ჩემი გადასაწყვეტი ნამდვილად არ არის.

– როგორ მოხდა, რომ გასული მატჩის მე-3 მეოთხედში ამდენი სათამაშო დრო დაგეთმოთ?

– შესანიშნავი იყო. მიმდინარე სეზონში სტაბილური სათამაშო წუთები არ მქონია, თუმცა, ეს გასაკვირი არაა. ჩვენ დიდებული კალათბურთელები გვყავს, რომელთაც დიდი როლის შესრულება შეუძლიათ. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ღრმა შემადგენლობას ვფლობთ. აღნიშნული განსაკუთრებით ცენტრის პოზიციას ეხება. სწორედ ამიტომ, ძალიან გამიხარდა, რომ მოედანზე ამდენ ხანს გაჩერების საშუალება მომეცა, თუმცა, მთავარი გამარჯვება გახლდათ. სეზონის ამ ეტაპზე მთავარი მოგებაა და არა ის, ვინ უფრო მეტს ითამაშებს.

საქართველოს ჩემპიონს დინამო და ქუთაისი გაარკვევენ

ჩუსთავი-დინამო 86:112

(26:31, 20:28, 27:24, 13:29)

სუპერლიგის მეორე ფინალისტიც ცნობილია – საჩემპიონო სერიაში გასულ ქუთაისს დინამო შეუერთდა. ამრიგად, განმეორდა შარშანდელი ფინალი, რომელშიც იმერული გუნდი ტიტულის დაცვას ყველაზე ტიტულოვან ქართულ კლუბთან ეცდება.

დინამომ კი ფინალის საგზური რუსთავთან ბრძოლაში მოიპოვა. ნახევარფინალურ სერიაში 2:0 დაწინაურებულმა დედაქალაქელებმა მესამე მატჩი რუსთავში გამართეს, სადაც მასპინძლებს მოგების რეალური შანსი არ ჰქონიათ.

ორივე გუნდს ტრავმის გამო თითო მოთამაშე აკლდა. მასპინძლებს ქუსლნატკენი ტომი სპანოლო ვერ ეხმარებოდა, ხოლო დინამოელებს – მუხლმტკივანი დეონტა ვონი.

დინამომ პირველი პერიოდი 31:26 მოიგო, ხოლო მეორეში უპირატესობა კიდევ უფრო გაზარდა და დიდი შესვენებისთვის 13 ქულით გალიდერდა. მესამე მეოთხედმა გარდამავალი უპირატესობით ჩაიარა – ჯერ დინამოელები გაიჭრნენ 20 ქულით წინ, შემდეგ კი მასპინძლებმა შორი სროლებით ჩამორჩენა 10 ქულამდე შეამცირეს. გადამწყვეტ პერიოდში მასპინძლებმა ვერაფერი დაუპირისპირეს დინამოელებს და საბოლოოდ 26 ქულით – 86:112 დამარცხდნენ.

თბილისურ გუნდში 6 კალათბურთელი ასცდა 10-ქულიან ზღვარს, რომელთაგან 22 ქულით, 7 პასითა და 6 მოხსნით მიხეილ ბერიშვილი გამოირჩა. 19 ქულა დააგროვა ლევან ფაცაციამ, 16-16 ქულით კი მიხეილ ჭოჭუა და ილია ლონდარიძე გამორჩნენ. რუსთაველთაგან 20 ქულითა და 9 მოხსნით საუკეთესო იყო მორის ბრიგსი, ჩარლი ლის ანგარიშზე კი 18 ქულა დაგროვდა.

შერმადინი ესპანეთის ლიგის სიმბოლურ ხუთეულში მოხვდა

ანდორა მორაბანკის ქართველი ცენტრი გიორგი შერმადინი ესპანეთის უმაღლესი ლიგის სიმბოლურ ხუთეულში შეიყვანეს. შერმადინმა წინახაზელების გამოკითხვაში ბოიან დუბლიევიჩის შემდეგ მეორე ადგილი დაიკავა და ესპანური ლიგის უძლიერეს ხუთეულში მოხვდა.

გამოკითხვაში 4 ფენა მონაწილეობდა: მწვრთნელები, მოთამაშეები, ჟურნალისტები და გულშემატკივრები (სოციალური ქსელების მეშვეობით). გიორგი შერმადინმა წინახაზელებში უკან მოიტოვა რეალის 2 უძლიერესი მეფარე ენტონი რენდოლფი და გუსტავო აიონი, ასევე – ბარსელონელი ანტე ტომიჩი. ქართველ ცენტრს მხოლოდ მონტენეგროელმა ბოიან დუბლიევიჩმა გადაასწრო, თუმცა, წესის თანახმად, სიმბოლურ ხუთეულში საუკეთესო 2 წინახაზელი, 2 საუკეთესო მსუბუქი ფორვარდი და ერთიც გამთამაშებელი შევიდნენ.

დუბლიევიჩთან და შერმადინთან ერთად ესპანური ლიგის საუკეთესო ხუთეული შეავსეს: სერხიო ლიულმა (გამთამაშებელი, რეალი), ევდვინ ჯექსონმა (მსროლელი, ესტუდიანტესი) და ადამ ჰანგამ (მსუბუქი ფორვარდი, ბასკონია).

ესპანური ლიგის რეგულარული ჩემპიონატი დასრულდა, რომლის განმავლობაშიც გიორგი შერმადინი ყველაზე მეტჯერ – 3-ჯერ გახდა ტურის საუკეთესო მოთამაშე. ამას გარდა შერმადინი ტურის უმაღლესი შედეგის (მარგი ქმედების კოეფიციენტი) მფლობელი კიდევ არაერთხელ გახდა, თუმცა მვპ-ის ტიტული იმის გამო არ გადაეცა, რომ მისი გუნდი დამარცხდა. შერმადინი მიმდინარე სეზონში ანდორის შემადგენლობაში საშუალოდ 26 წუთს თამაშობდა, რის განმავლობაშიც 15.3 ქულას და 7,6 მოხსნას აგოვებდა. რაც მთავარია, მისი საერთო სარგებლიანობის ინდექსი მატჩში საშუალოდ 21.3 ერთეულს შეადგენდა, რაც ყველაზე მაღალი და მნიშვნელოვანი შედეგია.

ესპანური ლიგის საუკეთესო მოთამაშის პრიზის მფლობელი უახლოეს დღეებში გახდება ცნობილი, რომელიც ასევე ზემოთ ხსენებული გამოკითხვის პრინციპით უნდა შეირჩეს.

რა უნდა ვიცოდეთ ფარისებრ ჯირკვალზე ორსულობისას

ეკა ირემაშვილი

ორსულობა ქალის ორგანიზმის ფიზიოლოგიური მდგომარეობაა, როდესაც აქტიურად ერთვება ადაპტაციური მექანიზმები. ასეთივე ადაპტაციური მექანიზმი ახასიათებს ფარისებრ ჯირკვალსაც, რომლის დატვირთვაც 30-50 პროცენტით იზრდება. რა არის ჩიყვი, თირეოიდიტი, ჰიპერთირეოზი და ჰიპოთირეოზი, რა უნდა ვიცოდეთ ფარისებრ ჯირკვალზე ორსულობისას და რას უნდა მივაქციოთ ყურადღება? – ამ თემებზე არჩილ ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტის ექიმი-ენდოკრინოლოგი ნანა ლევიძე საუბრობს.

ნანა ლევიძე:

– ორსულობა არის ქალის ორგანიზმის ფიზიოლოგიური მდგომარეობა, რომლის დროსაც აქტიურად ერთვება ადაპტაციური მექანიზმები. ასეთი ადაპტაციური მექანიზმი ახასიათებს ფარისებრ ჯირკვალსაც, რომლის დატვირთვაც იზრდება 30-50%-ით.

ნაყოფის ნორმალური ზრდა-განვითარებისთვის აუცილებელია დედის ორგანიზმიდან იოდის საკმარისი რაოდენობით მიღება, რათა ხელი შეუწყოს ნაყოფის ფარისებრი ჯირკვლის ნორმალურ ჩამოყალიბებას და თიროქსინის გამომუშავებას. აღნიშნულიდან გამომდინარე აუცილებელია, ყველა ორსულმა მიიღოს იოდის საკმარისი რაოდენობა.

– ფარისებრი ჯირკვლის რა დაავადებები არსებობს?

– განასხვავებენ ფარისებრი ჯირკვლის შემდეგ დაავადებებს: ჩიყვი, თირეოიდიტი, ჰიპერ და ჰიპოთირეოზი.

ჩიყვისთვის დამახასიათებელია ფარისებრი ჯირკვლის დიფუზური გადიდება ან კვანძების წარმოქმნა, ფუნქციის როგორც დაქვეითება, ისე მომატება.

თირეოიდიტის დროს აღინიშნება ფარისებრი ჯირკვლის დიფუზური გადიდება, ტკივილი პალპაციის დროს, სხეულის ტემპერატურის მომატება, ყლაპვის გაძნელება. თირეოიდიტი შეიძლება იყოს გამოწვეული ინფექციური დაავადებით, ან იმუნური სისტემის სხვადასხვა დარღვევებით. ყოველივე ზემოაღნიშნული შეიძლება გახდეს ორსულობის დროს რიგი გართულებების მიზეზი.

ჰიპერთირეოზი – „გრეივსის დაავადება“ – დიფუზური ტოქსიური ჩიყვი – მას ახასიათებს ფარისებრი ჯირკვლის გადიდება, გულისცემის აჩქარება, წონაში კლება, ხელების და სხეულის კანკალი, კუნთების სისუსტე, გაღიზიანება, ეგზოფთალმი ანუ თვალების გადიდება.

ორსულობამდე დიაგნოსტირებული „გრეივსის დაავადება“ წარმოადგენს ორსულობის უკუჩვენებას მკურნალობის გარკვეულ ეტაპამდე. ორსულობის დროს დიაგნოსტირების შემთხვევაში რეკომენდებულია გადაუდებელი მკურნალობა ჰორმონალური ანალიზების დინამიური კონტროლით, რათა თავიდან ავიცილოთ ნაყოფის განვითარების ანომალიები.

ჰიპოთირეოზი წარმოადგენს ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის დაქვეითებას. ამ დროს აღინიშნება ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონების ნაწილობრივი, ან სრული დეფიციტი.

ორსულობის დროს დადასტურებული ჰიპოთირეოზი შეიძლება გახდეს ნაყოფისთვის საკმაოდ მძიმე გართულებების მიზეზი. მას მიეკუთვნება კრეტინიზმი, ანემია, გულის თანდაყოლილი დაავადებები. ასევე ორსულობის ისეთი გართულებები, როგორიცაა პრეეკლამპსია, თვითნებითი აბორტი და ნაადრევი მშობიარობა.

– რა სიმპტომები ახასიათებს ჰიპოთირეოზს?

ჰიპოთირეოზს ახასიათებს შემდეგი კლინიკური სიმპტომები: მეხსიერების დაქვეითება, ძილიანობა, გულის რითმის შენელება, გუნება-განწყობის ცვალებადობა, არტერიული წნევის მომატება, შეშუპება, წონაში მატება.

თიროქსინის დეფიციტით გამოწვეული ჰიპოთირეოზი საჭიროებს მკურნალობის დროულად დაწყებას ენდოკრინოლოგის მეთვალყურეობის ქვეშ.

– რა დატვირთვა აქვს ფარისებრ ჯირკვალს ორსულობის დროს?

– ორსულობის დროს ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის შესწავლა ერთ-ერთი რუტინული კვლევაა. ჰორმონალური სპექტრის შეფასება ხდება ყოველ 4-6 კვირაში ერთხელ, ხოლო ფარისებრი ჯირკვლის ექოსკოპია ექიმი-ენდოკრინოლოგის დანიშნულების მიხედვით.

– რამდენად რთულია ფარისებრი ჯირკვლის დაავადებების მართვა?

– ფარისებრი ჯირკვლის დაავადებების მართვა თანამედროვე მედიცინისთვის სირთულეს აღარ წარმოადგენს. მთავარია ჩატარდეს დაავადების დროული დიაგნოსტირება და შეირჩეს მკურნალობის სწორი ტაქტიკა.

რატომ უნდა აიღოს უკრაინამ მაგალითი საქართველოსაგან ეკონომიკაში

– უკრაინაში მიმდინარე ეკონომიკური კრიზისი მხოლოდ კრემლის აგრესიის შედეგი არ არის. საქართველოში მსგავს სიტუაციაში, რუსეთთან ომის დროს, ეკონომიკა აყვავების პერიოდში იყო, – ასე განაცხადა ცნობილმა რუსმა ოპოზიციონერმა, რუსეთის პრეზიდენტის ექსმრჩეველმა, ეკონომიკური ანალიზის ინსტიტუტის ხელმძღვანელმა ანდრეი ილარიონოვმა კიევის „მომავლის ინსტიტუტში“ წაკითხული მოხსენების დროს (თემა „უკრაინის ეკონომიკური კატასტროფა 2013-2016 წლებში“).

ანდრეი ილარიონოვმა უკრაინის ეკონომიკის მძიმე მდგომარეობაში ეროვნული ბანკი დაადანაშაულა, მისი ხელმძღვანელის – ვალერია გონტარევას სახით. მისი თქმით, უკრაინის ეროვნული ბანკის თავმჯდომარემ სავალუტო ოპერაციების ხისტი რეგულირების პოლიტიკაას ახორციელებს, რაც ქვეყნის ეკონომიკაზე უარყოფითად აისახა, მოხდა მისი იზოლირება გარესამყაროსაგან. ანდრეი ილარიონოვმა აღნიშნა, რომ ვალერია გონტარევას უპასუხისმგებლო მოქმედების შედეგად, უკრაინის საგარეო ვალებმა „კრიტიკულს იქით“ დონეს გადააჭარბა ანუ მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 90%-ზე მეტს და თუ ეკონომიკა ოდესმე ზრდას დაიწყებს, რესურსები საგარეო ვალების მომსახურებას დასჭირდება და არა სახელმწიფო და სოციალური პროექტების რეალიზებას. ანდრეი ილარიონოვმა ისეთი ქვეყნების თვალსაჩინო მაგალითად, სადაც ეკონომიკა სამხედრო მოქმედებების დროსაც კი მატულობს და ვითარდება, საქართველო დაასახელა.

– ბოლო ოთხი წლის განმავლობაში უკრაინა თავის ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივ და ღრმა სოციალურ-ეკონომიკურ კრიზისს განიცდის. ითვლება, რომ ყოველივე ამის მიზეზს რუსეთის მიერ უშუალოდ განხორციელებული სამხედრო აგრესია წარმოადგენს. მართლაც, კრემლის „ღია“ აგრესიის პიკი 2014 წელზე მოდის, მაგრამ ყველაფერს საგარეო ფაქტორს ნუ დავაბრალებთ...

მსგავს სიტუაციებში სხვაგვარი მიდგომაც არსებობს. შევადაროთ ორი ქვეყანა ერთმანეთს, რომლებიც ერთი და იმავე აგრესორის მსხვერპლი გახდნენ – საქართველო და უკრაინა. მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ საქართველო მოსახლეობა 10-ჯერ მცირეა, უკრაინასთან შედარებით, ხოლო ეკონომიკის მოცულობით – 15-ჯერ ნაკლები. საქართველოში მშპ ერთ სულ მოსახლეზე 35%-ით მცირეა, ვიდრე უკრაინაში. საქართველო, უკრაინასთან შედარებით, უფრო ნაკლებადაა გაზიფიცირებული. საქართველოს ისეთი მაღალ დონეზე განვითარებული სოფლის მეურნეობა არ აქვს, როგორც უკრაინას. საქართველო ბევრად ჩამოუვარდება უკრაინას სატრანსპორტო სისტემისა და მრეწველობის განვითარების დონითაც.

საერთოდ, საქართველო როგორც გეოპოლიტიკური, ასევე გეოსტრატეგიული თვალსაზრისით, ერთი ვიწრო ხეობაა, რომელიც შავი ზღვიდან თბილისამდე გრძელდება. თუ ამ ხეობას გადაჭრი, მთელი ქვეყნის პარალიზება მოხდება, რაც რუსეთის ჯარებმა კიდეც გააკეთეს [მათ მთავარი კომუნიკაციები გადაჭრეს], მაგრამ ქვეყანამ, რომელიც უკრაინასთან მიმართებით შეუდარებლად [მძიმე] სიტუაციაში იმყოფებოდა, დარტყმა მაინც გადაიტანა.

საქართველოს ეკონომიკური ზრდა 2010 წელს იყო 6,5%, ხოლო ომის დროს 7,3%. ანუ უკრაინასთან შედარებით სხვა სიტუაციაა. საქართველოს ეროვნულ ბანკს არც მოუხდენია ლარის დევალვაცია და არც სავალუტო რეზერვები არ გაუნიავებია. გარდა ამისა, რუსმა დაქირავებულებმა და სეპარატისტებმა უკრაინის ტერიტორიის მხოლოდ 7% აქვთ დაკავებული, მაშინ როცა რუსეთმა საქართველოს ტერიტორიის 20%-ის ოკუპირება მოახდინა. ამას ემატება ისიც, რომ რუსების ავიაცია მთელი ქვეყანას ბომბავდა და რაკეტებს უშენდა. უკრაინის დამოკიდებულება რუსეთზე მხოლოდ 30%-ით შემცირდა, საქართველოსი კი – 70%-ით. საქართველოს ხელისუფლების შეგნებულმა პოლიტიკამ ქვეყანა სულ სხვა შედეგამდე მიიყვანა, – განაცხადა ანდრეი ილარიონოვმა.

❖ ❖ ❖

აღსანიშნავია, რომ რუსმა ოპოზიციონერმა იგივე გაიმეორა რადიო „თავისუფალი ევროპა – თავისუფლების“ უკრაინული სამსახურის სტუდიაში, ჟურნალისტ ალექსანდრ ღაშენკოსთან საუბრისას.

ნიუსპრესი

ასტროპრომნოზი

17 მაისისათვის

ვერძი – შემოქმედებითი კუთხით გიმართლებთ. შთაგონება გეწვევათ. ახალ პარტნიორთან ურთიერთობა ნაყოფიერია. ** კურო** – მიღებული ცოდნა სათანადოდ გამოიყენეთ. დაისვენეთ ბუნებაში უახლოეს ადამიანებთან ერთად. **ტყუპები** – დღის პირველი ნახევარი არაკეთილსაიმედოა ფინანსური ოპერაციების თვალსაზრისით. დიდია მოტყუების ალბათობა. **კირჩხიბი** – მეგობრებთან შეხვედრა სამომავლოდ გადადეთ. ნუ ეცდებით თქვენი უპირატესობის წარმოჩენას. **ლომი** – დაწყებული საქმე დაამთავრეთ. საქმიან პარტნიორთან ურთიერთობისას გაუგებრობა იჩენს თავს. **ქალწული** – ყოველგვარი ნეგატიური აზრი უკუაგდეთ. იაზროვნეთ პოზიტიურად. **სასწორი** – საოჯახო საქმეების მოწესრიგება არ დააყოვნოთ. ემოციების აყოლა არას გარგებთ. **ღრიანკალი** – გაერთეთ, დაისვენეთ, მხოლოდ სასიამოვნო საქმით დაკავდით. **მშვილდოსანი** – სხვისი გავლენის ქვეშ ნუ მოექცევით. საკუთარ აზრს პატივი ეცით. ერიდეთ ფიზიკურ დატვირთვას. **თხის რქა** – ზედმეტ პასუხისმგებლობას ნუ იტვირთავთ. ხალხმრავლობას ერიდეთ. **მერწყული** – ჯანმრთელობას მიხედეთ. მცირე ფიზიკური დატვირთვა, ფეხით სეირნობა ძალზე სასარგებლოა. მოვლენებს ნუ გააზვიადებთ. **თევზები** – ბედი გწყალობთ. მიზანს იოლად მიაღწევთ. განსაკუთრებით უმართლებთ საჯარო მოხელეებს.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოჰდი ბ



შვეულად: 1. ბალნეოლოგიური კურორტი კახეთში; 2. ჯეიმს ბონდის შემსრულებელი ბრიტანელი მსახიობი; 3. საოქრომჭედლო ყალიბი; 4. იტალიელი მესტამბე, პირველი ქართული წიგნის შემდგენელი და გამომცემელი; 5. ქალის სასიმღერო ხმა; 7. ერომანეთში შეგროვილი ფულით ქეიფი ძველ თბილისში; 11. იტალიის პრემიერ-მინისტრი; 12. ვაჭართა წოდებრივი თანრიგი, ენიჭებოდა ქონების, კაპიტალის მიხედვით ძველად; 13. სოფლის პოლიციის უფროსი ძველად; 14. ქართული ლიტერატურული ჟურნალი; 15. ბადრიჯნით, პომიდვრით მომზადებული ცხვრის წვნიანი კერძი; 17. გვარის, თემის მეთაური სვანეთში; 19. ღამის ფრინველი.

თარაზულად: 5. რაიონული ცენტრი იმერეთში; 6. ღვთისმშობლის სახელწოდება სვანეთში; 8. ესპანეთის კინემატოგრაფისტთა პრემია; 9. მუსიკოს-მომღერლის სახელწოდება შუა აზიაში; 10. ძალზე მტკიცე მინერალი, ძვირფასი ქვა; 11. ისტორიული ციხე-სიმაგრე ზუგდიდის მახლობლად; 13. ქაღალდის ფული; 14. ხურდა ფული აშშ-ში; 16. ბრაზილიელი მწერალი; 18. ყველაზე მაღალი მწვერვალი საქართველოში; 20. ბრიტანული საინფორმაციო სააგენტო; 21. ცხელი ქარი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ყვირილა; 2. პატრული; 3. პიზენი; 4. შარკო; 5. „მუკუზანი“; 7. ყრუ; 11. ლეგატი; 15. ქიაჩელი; 16. აფრიკა; 17. კუსტო; 18. ფშავი; 20. კასიო; 22. ჯიდა.

თარაზულად: 6. ვარაყი; 8. რავიოლი; 9. შარტავა; 10. რაშკული; 12. ყანწი; 13. ოპიზა; 14. ჯარგვალი; 19. გრაფიკი; 21. „დურუჯი“; 23. შაირი; 24. ეტიუდი; 25. პლატინა; 26. შიმპანზე.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ხალი; 2. წრუტო; 3. „ასაჰი“; 4. რკინა; 5. ლეკები; 6. გალენიტი; 8. „უსახელაური“; 10. ქსენოფილია; 11. ნორმანები; 14. პუშერი; 15. ჟაკარი; 16. კონტე.

თარაზულად: 1. ხატწერა; 4. როგლანგი; 7. ლოლუა; 9. „ციცქა“; 12. ფირუზი; 13. მანგო; 14. პოკერი; 17. ბარონი; 18. ტოლერანტობა; 19. სინდისი; 20. ძეწკვი.

„სახის“ ვარსკვლავის გახსნა დაპირისპირების მიზეზი გახდა

ჯგუფი „სახე“ წელს იუბილარია. დათო ხუჯაძემ და დათო ფორჩხიძემ 20 წლის იუბილე ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში კონცერტით აღნიშნეს. სპეციალურად ამ დღისთვის თბილისში ჯგუფი „ფოერთი ენდ მოუშენი“ ჩამოვიდა, რომელმაც „სახესთან“ ერთად ალექსანდრე ბასილაიას ცნობილი სიმღერა „წვიმად გადავიქეცი“ შეასრულა.

საიუბილეო საღამოს დასასრულს ჯგუფის ვარსკვლავიც გაიხსნა. ვარსკვლავი ამჯერად კულტურის პალატას არ გაუხსნია. ჯგუფის წევრებმა ვარსკვლავი საკუთარ თავს თვითონვე გაუხსნეს.

დათო ხუჯაძისა და დათო ფორჩხიძის ამ საქციელმა დათო ოქიტაშვილი გააღიზიანა და დათო ხუჯაძეს სასამართლოთიც დაემუქრა:

– იქნებ „ვარსკვლავოსანი“ ხუჯაძე ვინმემ დააარიგოს, ძალიან ბევრ ცრუ ინფორმაციას ავრცელებს. აუყვანეთ იურისტი, იქნებ ამეცადინოს, სად რა უნდა თქვას. ვატყობ, სასამართლოში მოუწევს თავის მართლება. შეხვედრამდე, დათუნა.

მოგვიანებით კი დათო ოქიტაშვილმა თბილისის საკრებულოში სპეციალური სხდომა მოიწვია, სადაც ჯგუფის ქმედება განიხილა და ვარსკვლავების გახსნის პროცედურაზეც ისაუბრა.

დათო ოქიტაშვილი:

– ამ ჯგუფმა რა ისტორია შექმნა, ჯერ მაინტერესებს. იმიტომ კი არა, რომ მათ ვაკრიტიკებ. ყველაფერს აქვს თავისი დრო და მათ გაუსწრეს დროს. თვითონ გაუხსნეს თავის თავს ვარსკვლავი, თავისი ხელით გახსნეს. ეს ნამდვილად უხერხულია. ჩვენ მიმართ ისმოდა ბრალდება, რომ ერთპიროვნულად ვიღებთ გადაწყვეტილებას და ვართ რაღაც შპს. თურმე 17 წლის განმავლობაში ჩვენ ყველასთან შეუთანხმებლად ვმოქმედებდით და თურმე მე ვხსნი ამ ვარსკვლავებს. ეს არ არის მართალი, ეს არის ერთგვარი პროცედურა, რომელიც ყველამ უნდა გაიაროს. ჩვენ მოგვმართავდა ესა თუ ის ორგანიზაცია – ოპერისა და ბალეტის თეატრი, რუსთაველის თეატრი, ქორეოგრაფიის კავშირი – და მათი გადაწყვეტილების საფუძველზე ვიყავით შემსრულებლები. არცერთი ვარსკვლავი მათთან შეთანხმების გარეშე არ გაგვიხსნია. რაც შეეხება ჯგუფ „სახეს“, ჩემთან მობრძანდა ბატონი ხუჯაძე და მითხრა, რომ 14 მაისს აქვთ ღონისძიება და უნდა, რომ გაიხსნას ვარსკვლავი. მას ავუხსენი, რომ ამას უნდა რეგულაცია, განვიხილოთ და იქნებ გადავდოთ შემოდგომისთვის. მან თქვა, არა, მე 14 მაისს მაქვს კონცერტი დაგეგმილი და ამ დღეს უნდა გავხსნა ეს ვარსკვლავიო.

ჯგუფის წევრების განმარტებით კი მათ ვარსკვლავის გახსნის ნებართვა ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზის წინ თავად ფილარმონიის ხელმძღვანელობისგან მიიღეს. ამ პროცესს კი წინ უძღოდა ხელმოწერების შეგროვება ჯგუფის ვარსკვლავის გახსნასთან დაკავშირებით.

ვახო ბიჭიკაშვილი: „ჩვენც ბევრი ვიფიქრეთ, წავსულიყავით თუ არა სოჭში“

კომედი შოუს მსახიობი და იუმორისტი ვახო ბიჭიკაშვილი ნინო ჩხეიძის მიერ სოჭში გამართული კონცერტის თემას ეხმაურება, რომელსაც საზოგადოების მხრიდან კრიტიკა მოჰყვა. ვახო და ნიკა არაბიძე ამ კონცერტის წამყვანები იყვნენ.

ვახო ბიჭიკაშვილი:

– ჩვენც ბევრი ვიფიქრეთ, წავსულიყავით თუ არა სოჭში, სანამ არ დავაზუსტეთ, რომ ეს იყო რიგითი ქართველი ემიგრანტების ორგანიზებული კონცერტი და არა პუტინთან დაახლოებული და მსგავსი ბინძური საზოგადოების დაგეგმილი ვირიშვილობა, რომელიც საკუთარ პოლიტიკურ ინტერესებს ატარებს. კონცერტს ესწრებოდნენ სრულად ქართველი ადამიანები და ერთი სიტყვაც კი არ თქმულა ჩვენი მხრიდან ოკუპანტის ენაზე! მსგავს კონცერტებს ვატარებთ საბერძნეთშიც, იტალიაშიც, საფრანგეთშიც და ყველგან, სადაც ჩვენი ქართველი ემიგრანტები არიან! სადაც არ უნდა ვიყო, ყოველთვის ვიტყვი, რომ რუსეთი ოკუპანტია!

გორის თეატრის მსახიობ მაია ტურაშვილს დახმარება ესაჭიროება

გორის გიორგი ერისთავის სახელობის თეატრის მსახიობ მაია ტურაშვილს დახმარება ესაჭიროება. მას ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები აქვს.

ინფორმაციას ამის შესახებ მისი კოლეგა, სოხუმის თეატრის მსახიობი ნანა ხურითი ავრცელებს:

– ჩემს მეგობარს, გორის თეატრის მსახიობს მაია ტურაშვილს დაუდგინეს ცუდი დიაგნოზი.?შოკში ვარ... შვიდი წლის წინ გარდაეცვალა ქალიშვილი... ლონდა –?ჩემი ნათლული... ღმერთო, გვაკმარე... მაია, შენ გვერდით ვართ. მჯერა, გადავლახავთ ამ განსაცდელსაც... ღმერთმა არ დაგაჭირვოთ არავის დახმარება... ჯანმრთელობას გისურვებთ...

მაია ტურაშვილის დასახმარებლად თიბისი ბანკში სპეციალური ანგარიშია გახსნილი.

გიორგი შენგელაიას იუბილეს, თავისი ქვეყნის გარდა, ყველა ულოცავს

ასეთ განცხადებას აკეთებს პროდიუსერი თამაზ ორაშვილი და ქართველი რეჟისორის გიორგი შენგელაიას 80 წლის იუბილეს ეხმაურება.

რუსულმა გამოცემებმა გიორგი შენგელაიას იუბილეს რეპორტაჟები მიუძღვნეს და საზოგადოებას მის მიერ გადაღებული საუკეთესო ფილმები კიდევ ერთხელ შეახსენეს.

– რა ქვეყანა ვართ, გაგიჟდება კაცი... თავისი ქვეყნის გარდა, ყველა ულოცავს იუბილეს... სირცხვილია!

თამაზ ორაშვილის მოსაზრებას იზიარებს რეჟისორი რუსუდან გლურჯიძეც:

– საინტერესოა, ქართულმა ტელევიზიებმა როგორ გააშუქეს.

„ვეფხისტყაოსანი“ – მსოფლიო ლიტერატურის შედევრი“ ამერიკაში გამოიცა

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნით“ ამერიკის ერთ-ერთი უდიდესი გამომცემლობა „ნოვა პაბლიშერი“ და მისი პრეზიდენტი ნადია კულუმბუსი დაინტერესდა და სპეციალური წიგნი ,,ვეფხისტყაოსანი“ – მსოფლიო ლიტერატურის შედევრი“ გამოსცა. გამომცემლობამ წიგნი უფასოდ დაბეჭდა.

პროექტის ხელმძღვანელი, იდეის ავტორი, შემდგენელი და შესავლის ავტორი რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტი დავით შემოქმედელია. წიგნის რედაქტორები ელგუჯა ხინთიბიძე და მაკა ელბაქიძე არიან, ქართული ტექსტი კი ინგლისურად მანანა დუმბაძემ თარგმნა.

წიგნი ამერიკული გამომცემლობის მიერ გადაეცა მსოფლიოს უდიდეს ბიბლიოთეკებს, ნობელის პრემიის ლაურეატებსა და მსოფლიოში ცნობილ ორგანიზაციებს. წიგნი მომავალ წელს ფრანკფურტის წიგნის საერთაშორისო ბაზრობაზე იქნება წარდგენილი.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სამგლოვიარო განცხადებები

დემურ ბერაიას
მონატრება

გაზაფხული ძალას იკრებდა, როცა დაგვტოვე. უეცარი გარდაცვალება თუ სულის ამოფრენა სხეულიდან – რა შეიძლება უწოდო მას. მეხის გავარდნასავით იყო შენი სიკვდილი, დაგვტოვე და ზეციურ სამყაროს შეუერთდი. დღეს 79 წელი შეგისრულდებოდა. საშინელებაა უსუსურობის განცდა, როცა ხვდები, რომ არაფერი შეგიძლია, ვერ ცვლი რეალობას, რომელმაც წამში წაგართვა უსაყვარლესი ადამიანი, ხელიდან გამოგვაცალა სიცოცხლე და მარადისობას გადააბარა. არანაირ სიტყვებს არ შეუძლია დაგახასიათოს შენ ისე, როგორიც რეალურად იყავი – ყველასათვის სასურველი, საყვარელი, ჰუმანური, კეთილშობილი, ინტელიგენტი, დიდი ადამიანური თვისებებით დაჯილდოებული, ლამაზი სულის პატრონი და ღირსეული მეოჯახე. ადამიანებისგან მხოლოდ კარგს იმახსოვრებდი, ცუდისთვის დროს არ კარგავდი. რამდენი რამის გაკეთება მოასწარი შენი საყვარელი ქალაქისათვის, ქვეყნისთვის, როგორც საზოგადო მოღვაწემ და, ვინ იცის, რამდენ საშვილიშვილო საქმეს ჩაჰბერავდი შენებურად სულს.

ასეთი კაცური კაცის დავიწყება ძნელია ყველასათვის, განსაკუთრებით ჩვენთვის. ძალიან გვაკლიხარ, ჩვენო დემურ. გულს გვიხარებს შენი დატოვებული შესანიშნავი ოჯახი. ტკივილსა და მონატრებას დროის ათვლა არ გააჩნია. გადმოიხედე ციდან, რადგან გაიხარებს სული შენი შვილებისა და შვილიშვილების წარმატებებით, შენი მოდგმით.

გვენატრები, ჩვენო დემურ!

შენი დიდი და უსაყვარლესი ოჯახი

დალი, პეტრე ბერაიები შვილებით მწუხარებას გამოთქვამენ შესანიშნავი მეგობრის

გივი მარგველაშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

პროგრამა

ოთხშაბათი 17 მაისი

07.00 დოკ/ფ "ენტონი ბურდეინი" წინასწარი შეკვეთის გარეშე" **08.00** "ჯიმი ნიუტრონი-გენიოსი ბიჭუნა" **09.00** "მოამბე დილას" **10.00, 04.50** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **12.30** "ტელემანი" **12.45** "კაცების დრო" **13.50** "ფერმა" **14.20** "სიტყვების თამაში" **15.00, 02.50** "C სტუდია" **16.15** "ეკონომეტრი" **16.30** "ჰოპლა ჩვენ ვცოცხლობთ" **17.00, 03.50** "რეალური სივრცე" **18.30** "ხანმოკლეXX საუკუნე" **20.40** "სპორტის დაფა" **21.00** ტ/სერ. "**ველვეტი**" **22.00** "მთავარი" - თამარ ჩიქოვანთან ერთად **23.00** მხ/ფ "**ღუპილების კუნძული**" **01.00** მხ/ფ "**ძალთა ხვედრი**"

08.00 დოკ/ფ "გაზაფხული დაკვირვებების ქვეშ" **09.00** დოკ/ფ "ჯინსი პლანეტა ლურჯ ფერებში" **10.00** "გეოფაქტორი" **10.20** დოკ/ფ "რობინ ორლენი. იოჰანესბურგიდან გარნიეს სასახლემდე" **12.00** საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომა **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" **20.40** "ბრიფინგის დრო" **21.00** "არგუმენტების დრო" **22.00** ტ/სერ. "**კედრის ჯარე**" **23.00** "მოამბე" (3 ენაზე) **00.00** "ნამდვილი დრო" **00.30** მხ/ფ "**მაქსიმ სავსე მთვარის საიდუმლო**"

05.50, 14.40 სერ. "**ელიფი**" **07.30** იმედის დილა (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.50** ქრონიკა **08.20, 09.20** იმედის დილა (გაგრძელება) **10.05** სერ. "**აბარაჭალი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** იმედის დღე **17.35** სერ. "**სტამბოლის ორი სახე**" **18.45, 19.03** სერ. "**მოაარული ცხოვრება**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **23.30** შინაურები **00.30** მხ/ფ "**განსაკუთრებული აზრი**" **03.05** მხ/ფ "**ფირმა**"

06.00, 18.30 სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **06.45, 19.57** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ყველაზე ლამაზი**" **15.30** სერ. "**ინდური საგა**" **16.55** სერ. "**დაკარგული წლები**" **22.00** ნანუკას შოუ **23.30** გააცინე და მოიგე

08.00 ან/სერ. ავატარი **09.00, 13.00** სერ. "**შაპი კოდი**" **11.00, 17.00** სერ. "**კრიმინალური აზროვნება**" **15.00** სერ. "**ანტიმატერია**" **19.00** სერ. "**გაბოროტებული**" **21.00** სერ. "**ანგარიშსწორება**" **22.30** მხ/ფ "**სექსი დიდ ქალაქში**" **01.10** მხ/ფ "**სექსი დიდ ქალაქში 2**" **03.55** მხ/ფ "**ბიჭური, სულელური სიყვარული**"

06.15 დროის ჩანაწერები **07.00** მართლმადიდებლური კატეხიზმო **07.30** ჩვენი ფონდი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10** "ქრონიკები დიდი მამულიშვილის ცხოვრებიდან" V ნაწ. **10.30** "ერთსულოვანი ოჯახი"-დეკანოზი ალექსანდრე ბოლქვაძე **11.10** მიწათმოქმედი "ვაზი" **11.30** მგზავრები წუთისოფლისა-"შროშა" **12.10** ღია აუდიტორია **13.00** ერთიანი მშვიდობიანი კავკასია **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** ბავშვები მუზეუმში III **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართული ან/ფ **15.30** დ/ფ "ბარტ ვულფი" **16.00** კონცერტი **17.20** დ/ფ სნა ჩვენშია, გზა ჩემს გულზე გადის" მუხრან მაჭავარიანი **17.40** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.10** სიახლენი **19.20** მხ/ფ "**პარასპერიოზული კუსი**" **20.40** ძილი ნებისა **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.20** ჩვენი ამბავი **21.35** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** ღვთის სახლი "იშხანი" II ნაწ. **00.25** ისტორიის დღიური **01.00** საუკუნის პორტრეტები "ავთო ვარაზი" **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

7.00 "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" **8.00** სერ. "**ორი გული**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 2.30** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30, 18.50, 20.55** სერ. "**მარისა**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **23.00** სერ. "**ესკობარი**" **0.00** "კონტაქტი" **0.30** სერ. "**პაემანი**" **2.00** "კონტაქტი"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

17 მაისისთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

- აშშ დოლარი — 2.4307
- ევრო — 2.6648
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.1422
- 100 რუსული რუბლი — 4.3118

ამინდის პროგნოზი 17 მაისისთვის

9 მაისიდან

ჯოვანი ბოკაჩო
დეკამერონი
II ნაწილი

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

11 მაისიდან

სულხან-საბას
იგავები

ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი

„ვარსკვლავური ომების“ მსახიობმა „მსოფლიოს საუკეთესო სახლი“ გაყიდა

მსახიობმა ბილი ლურდმა ამერიკის კალიფორნიის შტატის ქალაქ სანტა-მონიკაში სახლი თითქმის 2,4 მილიონ დოლარად გაყიდა.

ლურდი კერი ფიშერის ქალიშვილია, რომელიც ცნობილია ფილმ „ვარსკვლავურ ომებში“ პრინცესა ლეის როლის შესრულებით, და დები რეინოლდსის შვილიშვილი, რომელიც გადაღებულია ფილმში „წვიმაში მომღერალი“. თავად ლურდი გადაღებულია სერიალ „ყვირილის დედოფლებსა“ და ფილმში „ვარსკვლავური ომები: ძალის გამოღვიძება“.

სანტა-მონიკაში მსახიობმა სახლი 2016 წელს 2,25 მილიონ დოლარად შეიძინა. სახლში ორი საძინებელი და სამი სააბაზანო ოთახია.

2000 წელს ეს სახლი მსოფლიოს 100 საუკეთესო სახლების რიცხვში მოხვდა. მისი ახალი მფლობელის ვინაობა უცნობი დარჩა. ასევე უცნობია, თუ რატომ გადაწყვიტა ლურდმა მისი გაყიდვა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

როჯერ ფედერერი როლან გაროსზე არ ითამაშებს

ლეგენდარულმა შვეიცარიელმა ჩოგბურთელმა როჯერ ფედერერმა განაცხადა, რომ წელს საფრანგეთის ღია პირველობაზე მონაწილეობას არ მიიღებს, რადგან მისთვის აუცილებელია უიმბლდონისთვის სათანადოდ მომზადება.

ფედერერის თქმით, ის უკვე ისეთ ასაკშია, როდესაც ვალდებულია, ძალები თანაბრად გადაანაწილოს და მისთვის წელს უიმბლდონი უფრო მნიშვნელოვანია.

ფედერერმა თავის მომავალზეც ისაუბრა და თქვა, რომ კიდევ რამდენიმე წელიწადი აპირებს ჩოგბურთის თამაშს და ამ ხნის განმავლობაში კიდევ შეეცდება დიდი სლემის ტურნირების მოგებას. სულ ფედერერის ანგარიშზე 18 დიდი სლემის ტურნირია.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

ქალი ქმარს უყვირის:

– სულელო, უტვინო!!! ახლახან კატა გავიტანეთ!!!

– ჰო, ძვირფასო, მართალი ხარ. და იქნებ საჭესთან მიმიშვა?

•••

ოჯახი სადილობს. უცბად ოჯახის უფროს ჩანგალი გადაუვარდა, მაგრამ მოასწრო, დაიჭირა, ვიდრე იატაკზე დაეცემოდა და შვებით ამოისუნთქა:

– ამ გაჭირვებაში სტუმარი გვინდოდა კიდევ?!

ამ დროს კარზე აკაკუნებენ. კაცმა კარი გააღო, იქ კი მეზობელი დგას და ეუბნება:

– გივი, შენი სიდედრი ლიფტშია გაჭედილი.

•••

ორი ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორეს ეუბნება:

– ასი ლარი გააქვს?

– მადლობა, შეგიძლია ჩემ გამო არ იღელვო!

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– კინაღამ რამდენჯერმე ჩავვარდი.

– რა მოხდა?

– ცოლს კინაღამ საყვარლის სახელი დავუძახე.

– მერე?

– მერე, იძულებული გავხდი, სახლში კატა მიმეყვანა და სახელად მაია დამერქმია.

– ???

– რას ჩაფიქრდი?

– ამ დღეებში ჩემმა ცოლმა სახლში ძაღლი მოიყვანა და ავთო დაარქვა...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.



ილია ჭავჭავაძის მკვლელობა დღემდე ბურუსითაა მოსილი. ლაშა იმედაშვილი რომანში **„სამი მკვლელობა ძველ თბილისში“** ამ ტრაგედიის საკუთარ ვერსიას სთავაზობს მკითხველს.

„პატრიარქის ზაფხული“ კი პატრიარქ კირიონის ასევე საიდუმლოებით მოცულ მკვლელობას ეხება.

დეტექტიური სიუჟეტის პარალელურად, რომანებში აღწერილია მე-19 საუკუნის მეორე ნახევრისა და მე-20 საუკუნის 20-იანი წლების თბილისისა და საქართველოს ცხოვრება.

ლაშა იმედაშვილის მაღალი სამწერლო ოსტატობა და განუმეორებელი სტილი მკითხველს დიდ სიამოვნებას მიანიჭებს.

კეიტლინ ჯენერი კიმ კარდაშიანს არ ელაპარაკება



სქესშეცვლილი ოლიმპიური ჩემპიონი კეიტლინ ჯენერი თავისი ყოფილი მეუღლის კრის ჯენერის ქალიშვილს კიმ კარდაშიანს არ ელაპარაკება.

არც ისე დიდი ხნის წინ ტელევარსკვლავმა და ყოფილმა სპორტსმენმა გამოუშვა მემუარები სახელწოდებით „ჩემი ცხოვრების საიდუმლოებები“, რომელშიც ასევე ისაუბრა თავის ყოფილ მეუღლეზეც. თავის მხრივ კი, კრის ჯენერმა წიგნში მონათხრობს გამონაგონი უწოდა. კარდაშიანმა მხარი დედას დაუჭირა.

– მე მიყვარს კიმბერლი, ვფიქრობ, რომ ის საოცარი ადამიანია, მაგრამ გულახდილად ვიტყვი, რომ მას დიდი ხანია არ დავლაპარაკებივარ, – განაცხადა ოლიმპიურმა ჩემპიონმა.

მან ასევე აღნიშნა, რომ კარდაშიანების ოჯახში მეტისმეტად „ბევრი დრამაა“. რაც შეეხება მემუარებს, ჯენერის თქმით, ამ წიგნში მან წარმოადგინა საკუთარი შეხედულება იმ ყველაფერზე, რაც გადახდათ მასა და მის ნათესავებს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მარტინ დემიჩელისმა კარიერა დაასრულა

ვეტერანმა არგენტინელმა მცველმა მარტინ დემიჩელისმა კარიერა დაასრულა.

დემიჩელისი ამჟამად 36 წლის არის და მისი ბოლო გუნდი ესპანური მალაგა იყო. არგენტინელმა მცველმა განაცხადა, რომ მას ამ გადაწყვეტილების მიღება ძალიან გაუჭირდა, მაგრამ დრო იყო, ფეხბურთელის კარიერა დასრულებულიყო.

დემიჩელისს საკმაოდ წარმატებული კარიერა ჰქონდა და მან 16 ტიტულის მოგება მოახერხა. მარტინი ისეთ გუნდებში თამაშობდა, როგორებიც მიუნხენის ბაიერნი და მანჩესტერ სიტია, მისი პირველი კლუბი კი არგენტინული ფეხბურთის გრანდი რივერ პლეიტი იყო. დემიჩელისს არგენტინის ნაკრების მაისურით 55 შეხვედრა აქვს ჩატარებული.

ხამესი კარიერას, სავარაუდოდ, მანჩესტერ იუნაიტედში გააგრძელებს

მადრიდის რეალის კოლუმბიელი ფორვარდი ხამეს როდრიგესი, სავარაუდოდ, კარიერას მანჩესტერ იუნაიტედში გააგრძელებს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ხამესი უკვე შეუთანხმდა მანჩესტერ იუნაიტედს და ახლა ჯერი რეალზეა, რომელიც ამ ტრანსფერში 80 მილიონ ევროს ითხოვს. მანჩესტერი მზად არის, 70 მილიონი გადაიხადოს, მაგრამ გუნდებს შორის მოლაპარაკებები არ დასრულებულა.

ხამესი სევილიასთან შეხვედრის დროს შეცვალეს და ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, რომ ის სანტიაგო ბერნაბეუს დაემშვიდობა.

ჯოსვოხდი ა

შვეულად: 1. იაპონური ჭიდაობა; 2. კახეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 3. იგავ-არაკთა მამამთავარი; 4. ვულკანიდან ამოფრქვეული სილიკატური მასა; 5. ქორწინების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 6. გაუთლელი ხის მორებით ნაგები სახლი სამეგრელოში; 8. მწერების შემსწავლელი მეცნიერი; 10. ხელოვნების მუზეუმი ნიუ იორკში; 11. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 14. სამურაბე ლამბაქი; 15. ნიადაგის დამამუშავებელი სასოფლო-სამეურნეო იარაღი; 16. პოლონეთის ფეხბურთელთა გუნდი.

თარაზულად: 1. რაიონული ცენტრი იმერეთში; 4. დიდგვაროვანთა უმაღლესი ტიტული ინდოეთში; 7. გარკვეული ვადითა და პირობებით გაცემული თანხა; 9. საპატარძლოსათვის მირთმეული საქორწინო ნიშანი; 12. ქართველი მოგზაური, გინესის რეკორდსმენი; 13. ხელოვნური მარმარილო; 14. მაროკოს დედაქალაქი; 17. აზერბაიჯანის პრეზიდენტი; 18. პირობითი, საიდუმლო ნიშნებით შედგენილი ბარათი; 19. პატარა საოქრომჭედლო გრდემლი; 20. ზღვის წვრილი თევზი, ფართო რეწვის ობიექტი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა